www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

"მოქალაქეები" საარჩევნო სიებზე სამუშაოდ ემზადებიან A2

გაერო-მ ირანის ინსპექტირება დაიწყო A3

პირველი მარტიდან აშშ ანტიჩეჩნურ ფინანსურ სანქციებს აამოქმედებს A3

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 23 თებერვალი, 2003 წელი. №52 (264)

ფასი 50 თეთრი

# საბრძოლო დავალება უცვლელია

ბელა მახარაძე

*სწრაფი რეაგირების ძალების სპეცდანიშნულების ბრიგადისთვის საბრძოლო დროშის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი კოჯორში გაიმართა. ცერემონიალის სწორედ კოჯორში გამართვას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.*
*22 თებერვალი 1921წელს წითელ არმიასთან ბრძოლაში დაღუპული იუნკერების ხსოვნის დღეა. სწორედ ამიტომ ცერემონიალიც კოჯორში, იმ ადგილას გაიმართა, სადაც იუნკერების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალი აღიმართება.*

მიუხედავად საკმაოდ ცივი ამინდისა და თოვლისა, ჯარისკაცები უკვე კარგად გამომუშავებული ნებისყოფითა და მოთმინებით ელოდნენ თავდაცვის მინისტრის მოსვლას, რათა ცერემონიალი გეგმის მიხედვით ჩატარებულიყო. მანამდე რამდენიმე რეპეტიცია წარმატებით ჩააბარეს მეთაურს და მინისტრიც მოვიდა.

მოხსენების შემდეგ, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა სულმოუთქმელად ჩაიკითხა, მამა ზაქარიამ აკურთხა "გორგასლიან-თამარიანი" საბრძოლო დროშა და სამხედროებს გადასცა. მან აკურთხა თავად სამხედროებიც და სამშობლოსათვის თავდადებისკენ მოუწოდა.

მამა ზაქარიას შემდეგ სიტყვით გამოვიდა გარდაბნის რაიონის გამგებელი, რომელმაც თავდაცვის მინისტრს მადლობა გადაუხადა ამ "შესანიშნავი დღისთვის" და დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ მალე ამ ადგილას აღიმართება მემორიალი ქართველი იუნკერების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

გაგრძელება A2 გვერდზე



ვახო ბაკალაძის ფოტო

*სწრაფი რეაგირების ძალების სპეცდანიშნულების ბრიგადას საბრძოლო დროშა გადაეცა.*

# ომის დაწყება დღითიდღე ახლოვდება

შოთა უტიაშვილი

გუშინ გაერო-ს შეიარაღების ინსპექტორთა მისიის ხელმძღვანელმა ჰანს ბლიქსმა ერაყს მოსთხოვა, 1 მარტამდე გაანადგუროს მისი კუთვნილი ალ-სამუდ 2-ის ტიპის ყველა რაკეტა. ინსპექტორთა აზრით, ამ რაკეტის მოქმედების რადიუსი დასაშვებ ნორმას - 150 კილომეტრს სცილდება.

გაერო-ს მიერ ჩატარებული 40 საცდელი გაშვებიდან 13 შემთხვევაში ალ-სამუდ 2 გაშვების ადგილიდან 180 კილომეტრის მოშორებით დაეცა. დიპლომატთა შორის რამდენიმე ხნის მანძილზე გრძელდებოდა დებატები იმის შესახებ, უნდა ჩათვლილიყო თუ არა ეს მნიშვნელოვან დარღვევად.

ბლიქსის გადაწყვეტილება, რომელიც ერაყის ელჩს გაერო-ში, ალდურის გუშინ გააცნეს, ბაღდადს სერიოზული დილემის წინაშე აყენებს: რაკეტების განადგურება (სავარაუდოდ, ბაღდადს 100-120 რაკეტა აქვს) მის თავდაცვისუნარიანობას შეასუსტებს, არგანადგურება კი ამერიკელების მიერ, შესაძლოა, ომის დაწყების საბაბად იქნას გამოყენებული.

ერაყი, როგორც ჩანს, დარწმუნებულია იმაში, რომ ომი გარდაუვალია. გუშინ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა რამადანმა განაცხადა, რომ ერაყი ყველაზე უარესის მოლოდინშია, რადგან "ბოროტების ქვეყნების ნდობა არ შეიძლება".

ეს კი ერაყის დილემას კიდევ უფრო ამწვავებს და ამ ქვეყნის მიერ ინსპექტორებთან პრაქტიკულ თანამშრომლობას ნაკლებ სავარაუდოს ხდის.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სამართალი

### გენერალური პროკურორი საკადრო ცვლილებებით იმუქრება

*გენერალურ პროკურატურაში ჩატარებული კოლეგიის სხდომა ჩვეულ სტილში – წარმატებული სტატისტიკით თავმოწონების, ზომიერი თვითკრიტიკის და იშვიათად მწვავე კრიტიკის ფონზე ჩატარდა (კრიტიკის ძირითად ობიექტს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენდა) სხდომაზე ითქვა ისიც, რომ, თავის დროზე, ყველა რაიონის თუ ოლქის პროკურორს მოეთხოვა თითო კორუფციული საქმის გამოძიება და სასამართლომდე მიყვანა, თუმცა, მათ მიერ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებში კორუფციულად მონათლულ საქმეთაგან არცერთი არ არის მართლაც კორუფციული.*

A4

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | ღრუბლიანი |
| ქუთაისი | 8 | ღრუბლიანი |
| ბათუმი | 7 | ღრუბლიანი |
| სოხუმი | 7 | მზე, ღრუბელი |
| ფოთი | 7 | ღრუბლიანი |
| თელავი | 4 | ღრუბლიანი |
| ზუგდიდი | 8 | მზე, ღრუბელი |
| გორი | 2 | თოვლი |
| ახმეტა | 4 | თოვლი |
| ჭიათურა | 4 | წვიმა |
| გაგრა | 6 | მზე, ღრუბელი |
| სამტრედია | 7 | ღრუბლიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.3878 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4876 |
| რუბლი | 0.0693 |

# სოხუმში არასაბიუჯეტო ფონდების საქმიანობას აკრიტიკებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა არასაბიუჯეტო ფონდების გასული წლის მოღვაწეობის შედეგები შეაჯამა. პრემიერ-მინისტრმა გენადი გაგულიამ მკვეთრად გააკრიტიკა ფონდების ცალკეული ხელმძღვანელები. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდის თავმჯდომარის ვალენტინა ჟიბას ანგარიშის დროს მთავრობის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ფონდის მიერ სამედიცინო აპარატურის შესაძენად გამოყოფილი თანხები ხელოვნურად არის გაზრდილი და შეძენილი საქონლის ფასი საბაზრო ღირებულებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ შენიშვნაზე ჟიბამ უპასუხა, რომ **"ფონდი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნილ თანხებს მხოლოდ გამოყოფს და არ ამოწმებს, თუ როგორ იხარჯება ისინი."** პრემიერ-მინისტრი არ დააკმაყოფილა ამგვარმა ახსნა-განმარტებამ და გენერალურ პროკურატურას ფაქტების გადამოწმება დაავალა.

უმოქმედობაში დაადანაშაულეს დასაქმების მხარდამჭერი სახელმწიფო ფონდის თავმჯდომარე რუდიკ ბაგაფში. **"რესპუბლიკაში ცოტა ვინმემ თუ იცის თქვენი ორგანიზაციის არსებობის შესახებ და ეს მაშინ, როცა სამუშაოს მსურველთა რაოდენობა ძალიან დიდია,"** - განაცხადა გაგულიამ. მისი თქმით, მისი პრემიერობის მხოლოდ ორი თვის მანძილზე მან სამუშაოზე გაცილებით მეტი ადამიანი მოაწყო, ვიდრე ფონდმა, რომლის პირდაპირი მოვალეობაა მოქალაქეთა დასაქმება. **"ყოველწლიურად მიზნობრივი ლიმიტებით სასაწავლებლად რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ მიემგზავრება ასობით ახალგაზრდა, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ მათი დასაქმებით არავინ იტერესდება. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენი**

# პედაგოგებს გოგიაშვილის გაღიმებული სახე თვალში არ მოსდით

*ფინანსთა მინისტრის "უპატივცემულობით" აღშფოთებულმა საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარემ, ირაკლი ტუღუშმა ისე ინატრა ტროცკი, როგორც დავით აღმაშენებელი ენატრებათ ქართველებს.*
*გუშინ განათლების პროფესიული კავშირი "საკუთარ მოედანზე" განათლებისა და ფინანსთა მინისტრებს უნდა შეხვედროდა. განათლების მინისტრი შეხვედრას დაესწრო, ფინანსთა მინისტრმა კი, დამსწრეთა თქმით, უკვე მერამდენედ აარიდა თავი მათთან შეხვედრას და დეპარტამენტის თავმჯდომარე გამოაგზავნა.*

დალი კუპრავა

დეპარტამენტის თავმჯდომარის განმარტებით, მირიან გოგიაშვილი და მისი მოადგილეები სავალუტო ფონდთან დანიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ, რაზეც "პროფკავშირები" კიდევ უფრო გაცხარდნენ და განაცხადეს, რომ უკეთესი იქნებოდა, მინისტრი სავალუტო ფონდთან ერთად მოსულიყო, რომ მათაც მოესმინათ იმ განუკითხაობის შესახებ, რაც ფინანსთა სამინისტროსგან მომდინარეობს.

სამ საათიანი შეხვედრის დასასრულს ფინანსთა მინისტრის მიმართ არსებულ უკმაყოფილებას კატეგორიული მოთხოვნის სახე მიეცა. განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ, მანანა კობახიძემ ფინანსთა სამინისტროს დესპანი კატეგორიული ტონით გააფრთხილა, რომ ორ თვეში 141 ათასი პედაგოგი უნდობლობას გამოუცხადებს მირიან გოგიაშვილს, რომლის ტელევიზორიდან მუდამ გაღიმებული სახე, ისედაც თვალში არ მოსდით. "საქართველოს ფინანსთა მინისტრს გაღიმების უფლება არა აქვს,"- განაცხადა ერთ-ერთმა დამსწრემ, რომელიც ამავე დროს მერიის სამეურნეო სამსახურის წარმომადგენელი გახლდათ.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ლელოები ფანტელების თანხლებით

A5



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*წამიც და მალხაზ ურჯუკაშვილი ლელოს დადებს*

# როცა საზღვარს თოვლი იცავს...

## მესაზღვრეები კვალიფიკაციას იმაღლებენ

სოფო ბუკია

***"საზღვარზე მორიგეობა რჩეულთა ხვედრია,"** – ამ სულისკვეთებით ლილოს საწვრთნელ ცენტრში ექვსკვირიანი სწავლება ოცდაორმა ქართველმა მესაზღვრემ გაიარა. სამუშაო ადგილს ისინი უახლოეს დღეებში საგუშაგოების უფროსებად დაუბრუნდებიან. ქართველი მესაზღვრეების კვალიფიკაციის ამაღლებას თურქეთის ფინანსები მოხმარდა, სწავლება კი ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა. გუშინ ლილოს სასაზღვრო ცენტრში საგუშაგოების უფროსების პირველი გამოშვების საზეიმო ცერემონია გაიმართა.*
*კვალიფიკაციაამაღლებულ მესაზღვრეებს სერთიფიკატები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ გადასცა. საზეიმო ცერემონიალს თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშე ადგნან გიულერიც დაესწრო.*

დღეს სამხედრო სამსახურში მხოლოდ ისინი მიდიან, ვინც ინსტიტუტში ჩაბარებას ვერ მოაბა თავი, ან ამ მეტად "არაპრესტიჟული" სამსახურისგან თავდასაცავი თანხის შეგროვება ვერ მოახერხა.

მესაზღვრე დავით ცანკაშვილი სამხედრო სამსახურში სულ სხვა მიზეზების გამო მოხვდა. **"მე მეამაყება რასაც ვაკეთებ. დიდი პასუხისმგებლობაა შენი ქვეყნის საზღვართან დგომა,"** – ამბობს ის "24 საათთან" საუბარში.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 საზოგადოება A4 სამართალი A5 სპორტი A6 კულტურა A7 განცხადებები

## საქართველო ენერგეტიკული პრობლემების წინაშე

სახელმწიფო მინისტრთან გამართულ თათბირზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ განაცხადა, რომ თბილისის მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება გუშინ, საღამოს ექვსი საათიდან აღუდგებოდა. მისი განცხადებით, დღის 12 საათიდან მთლიანად დაიტვირთებოდა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "კავკასიონი", რომლითაც რუსეთიდან 350 მეგავატის ელექტროენერგია შემოდის. მირცხულავას თქმით, დენი გრაფიკით მიეწოდება გადამხდელ რეგიონებსა და საწარმოებს. როგორც ცნობილია, დედაქალაქში ელეტროენერგიის კრიზისი თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის ავარიულმა გამორთვამ გამოიწვია.

გუშინვე განცხადება გააკეთა "თბილგაზის" გენარალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ. მისი ინფორმაციით დღის 12 საათიდან მთლიანად აღდგა თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება. ბუნებრივი აირის მიწოდებაში შეფერხება გამოწვეული იყო რუსეთიდან გაზის ნაკლები რაოდენობით შემოსვლის გამო, რამაც ქსელში წნევის ვარდნა გამოიწვია და დედაქალაქის ზოგიერთი რაიონი გამოირთო. გაზის საერთაშორისო კორპორაციამ უკვე უზრუნველყო საჭირო რაოდენობის გაზის მოწოდება. თბილისს დღეღამეში საშუალოდ 1 800 000 კუბური მეტრი გაზი სჭირდება. ბოლო დროს კი ეს რაოდენობა 250-300 ათასი კუბური მეტრით შემცირდა.

*24 საათი*

## მოკლედ

**ქუთაისი.** "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" მიერ ორგანიზებულმა პენსიონერთა აქციების ტალღამ სამტრედიიდან ქუთაისში გადაინაცვლა. პარტიის წევრმა კობა დავითაშვილმა გუშინ ქუთაისის საოპერო თეატრში 800-მდე პენსიონერს სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმის აღძვრაში სთხოვა მხარდაჭერა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალურმა ცხინვალმა შაბათს განაცხადა, რომ აფხაზურ არმიასთან ერთობლივი სამხედრო სწავლებების ჩატარების საკითხი კვლავ დღის წესრიგში რჩება.

ორი სეპარატისტული რესპუბლიკის ხელისუფლებათა წარმომადგენლები გასული წლის მაისში შეთანხმდნენ ერთობლივი სწავლებების თაობაზე, თუმცა, მათი ჩატარების თარიღი განსაზღვრული არ არის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26-28 თებერვალს თბილისში, სასტუმრო "მარიოტში", სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის ჩარჩოებში გაიმართება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პარლამენტართა დელეგაციების შეხვედრა. როგორც საქართველოს პარლამენტში აცხადებენ, შეხვედრაში მონაწილეობას სამი ქვეყნის 30-ზე მეტი პარლამენტარი მიიღებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**კრასნოდარი.** უახლოეს დროში სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე გაიხსნება მოძრაობა სატვირთო მატარებლებისათვის. როგორც ადლერის სარკინიგზო სადგურის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ამგვარად, ბევრი სატვირთო გადაზიდვა რუსეთიდან აფხაზეთის მიმართულებით და პირიქით, რკინიგზის საშუალებით განხორციელდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** 2003 წლის სექტემბრისათვის აფხაზები დამოუკიდებლობის 10 წლისთავის იუბილეს აღნიშნავენ. მთავარი ღონისძიება სოხუმში გაიმართება. ღონისძიებების პომპეზურად აღნიშვნის მიზნით ქალაქის ადმინისტრაციამ საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, ბიზნესმენებს, თანამოქალაქეებს, საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებს ფინანსური დახმარების შესახებ თხოვნით მიმართა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები პანკისის ხეობაში დაგეგმილი ანტიტერორისტული ოპერაციის მეორე ეტაპშიც მიიღებენ მონაწილეობას. როგორც გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განაცხადა, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები, ისევე, როგორც გასულ წელს პანკისის ხეობაში ჩატარებული ოპერაციისას, ზურგს გაუმაგრებენ შსს-სა და უშიშროების ძალებს. **კავკას-პრესი.**




## საბრძოლო დავალება უცვლელია

პირველი გვერდიდან

აქვე იყო ქვემო ქართლის რწმუნებული ლევან მამალაძე, რომელმაც თქვა, რომ "**ეს არის სახელმწიფოს იმედი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი დავალების შესრულება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საქართველოს დაცვის კუთხით**".

ბოლო სიტყვა თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს ეკუთვნოდა, რომელმაც ბრიგადას მოუწოდა, "**იბრძოლონ სამშობლოსთვის სიცოცხლის ბოლომდე და არ შეარცხვინონ იმ იუნკერების სახელი, რომლებმაც 82 წლის წინ, თებერვლის სუსხიან დღეებში თავი შესწირეს საქართველოს და მტერი თბილისამდე არ მიუშვეს".**

ამ მაგალითით გულანთებულმა მებრძოლებმა ფიცი დადეს ქვეყნის, პრეზიდენტისა და ხალხის წინაშე, რომ თავს შესწირავდნენ საქართველოს. ცერემონიალს რაღა თქმა უნდა თან სდევდა სამხედრო მარში, რომელმაც გახსნა და დახურა ეს საზეიმო დღე.

ცერემონიალით კმაყოფილმა მინისტრმა მოკლე კომენტარზე უარი არ თქვა და განაცხადა: "**ამ ბრიგადის მთავარი ფუნქციაა სხვადასხვა სახის სპეციალური დავალებების შესრულება, თანაც - რაც შეიძლება უხმაუროდ. დღევანდელ დღეს აქვს მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დატვირთვა. ამ ბრიგადიდან გარკვეული კონტიგენტი გადაიგზავნება იქ, სადაც ბატონი პრეზიდენტი იტყვის**".



*სწრაფი რეაგირების ძალების სპეცდანიშნულების ბრიგადა.*

## "მოქალაქეები" საარჩევნო სიებზე სამუშაოდ ემზადებიან

*გუშინ "მოქალაქეთა კავშირის" ოფისში პარტიის მთავარი საბჭო მიმდინარე კვირაში უკვე მეორედ შეიკრიბა. გუშინდელმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ედუარდ შევარდნაძემ "მოქალაქეებს" ვნებების დაცხრობა და "მორიგება" ურჩია. მართალია, ამ სხდომას უკვე აღარ ესწრებოდა ლევან მამალაძე, მაგრამ "მოქალაქეთა ოფისში" პირველად გამოჩნდა ვანო ზოდელავა, რაც სამთავრობო ძალების შიდა ბალანსის თვალსაზრისით, საკმაოდ სერიოზული მოვლენა გახლდათ.*

თამარ ხორბალაძე

**"არ გქონდეთ იმედი, რომ რაიონებს ფეხით ჩამოვივლი... უნდა ააწყოთ პარტია, სისტემა"...** - უთხრა გასულ შაბათს საქართველოს პრეზიდენტმა მოქალაქეთა კავშირის მესვეურთ გაფართოებულ შეხვედრაზე.

შემდეგ დღეებში ედუარდ შევარდნაძემ ბევრი იხუმრა სხვა პარტიების საპატიო თავმჯდომარედ წასვლის თემაზე, რაც სერიოზულად არავის ალუქვამს, თუმცა პრეზიდენტის შაბათის განცხადება მშვენივრად "გაიგეს" თავად "მოქალაქეთა კავშირში".

უკვე სამშაბათს შედგა "მოქალაქეთა კავშირის" მმართველი საბჭოს სხდომა, რომლის შედეგიც გელა კვარაცხელიას აღმასრულებელი მდივნის პოსტიდან გადადგომა და შიდაპარტიული პოსტების გადანაწილება აღმოჩნდა. ამავე სხდომაზე საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნა ირაკლი გოგავა და ეს გარკვეულ რევერანსად ჩაითვალა მამალაძის გუნდის მიმართ, რომლის წევრიც გელა კვარაცხელია გახლავთ.

გუშინ "მოქალაქეთა კავშირის" მმართველი საბჭოს შეხვედრაზე შიდაპარტიულ ბალანსზე აქცენტები აღარ გაკეთებულა. გამონაკლისი იყო ვანო ზოდელავას გამოჩენა, რომელიც, არსებული ინფორმაციით, შეხვედრაზე მხოლოდ "დასწრებით" შემოიფარგლა. თუმცა ეს ფაქტი, პრეზიდენტის გვერდით დგომის დემონსტრირების გარდა, შესაძლოა, იმითაც აიხსნას, რომ გუშინ თბილისის ორგანიზაციის საქმიანობის მოსმენაც იყო დღის წესრიგში.

შაბათის თავყრილობის მთავარი მომხსენებელი კი ისევ ირაკლი გოგავა გახლდათ. მისი მოხსენება წინასაარჩევნო აქტივობების დეტალებს ეხებოდა.

მეორე გამომსვლელი გახლდათ ზეზვა ღუღუნიშვილი, რომელმაც დამსწრეთ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

კონფიდენციალური ინფორმაციის თანახმად, გუშინდელ შეხვედრაზე სავარაუდო პარტნიორების შესახებ - "სოციალისტებზე" და "მრეწველებზე" - და კოალიციის შექმნაზე ისაუბრეს. "მოქალაქეთა" აზრით, პარლამენტში "მრეწველებს" ერთი ვიცე-სპიკერის პოსტი ეკუთვნით და, მიუხედევად იმისა, რომ ისინი ამ მიმართულებით არ აქტიურობენ, ეს თემა, შესაძლოა, "თემატურმა უმრავლესობამ" წამოწიოს.

გუშინდელ შეხვედრაზე შეთანხმდნენ იმაზეც, რომ 15 მარტამდე "მოქალაქეთა" ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ დელეგატების არჩევა ყრილობისთვის, რომელმაც უნდა აირჩიოს მთავარი საბჭო და დაიწყოს მუშაობა საარჩევნო სიებზე.

## როცა საზღვარს თოვლი იცავს...

პირველი გვერდიდან

მიხეილ გოშთელიანი "მესტიის" ერთ-ერთ საგუშაგოზე დარაჯობს საქართველო-რუსეთის საზღვარს და პირობას იძლევა, რომ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს.

კვალიფიკაციაამაღლებული მესაზღვრეები, ძირითადად, "აჟარისა" და "მესტიის" სასაზღვრო კომენდატურის ოფიცრები არიან. უკვე ექვსი კვირაა, მათი პროფესიული დონის ამაღლებისთვის თურქი ინსტრუქტორები ზრუნავენ.

მესაზღვრე ის ადამიანია, რომელიც ქვეყანაში მტრად თუ მოყვრად მოსულ სტუმარს პირველი ხვდება, ამიტომ, როგორც გუშინ აღნიშნავდნენ, საზღვრის დარაჯებს განსაკუთრებული აღზრდა სჭირდებათ. სწავლის პროცესი საკმაოდ პროდუქტიული იყო და როგორც თავად ოფიცრები ამბობენ, მათ "ნატო-ს სტანდარტებით ომის ტაქტიკას" ასწავლიდნენ.

**"საკმაოდ ნორმალურ პირობებში ვიყავით, წვრთნის პროცესი საინტერესო იყო, სწავლება მეთოდურად მიმდინარეობდა,"** – გვიყვება დათო ცანკაშვილი. ლილოს სასწავლო ცენტრში დარჩენა მესაზღვრეებს უკვე აღარ უნდათ. **"რა გვინდა აქ, ჩვენი ადგილი საზღვარზეა,"** – ამბობს ოფიცერი რატიანი.



*თურქმა მესაზღვრეებმა ქართველ კოლეგებს სერთიფიკატები გადასცეს*

წვრთნებით კმაყოფილი დარჩა სამხედრო ელიტაც. **"ამ ბიჭებს საკმაოდ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ, მათგან უმრავლესობა მესტიაში და კოდორშია დაბადებული, კარგად იცნობენ იქაური საზღვრის მიდამოებს, იციან თითოეული ბილიკი... ექვსკვირიანმა სასწავლო პროცესმა მათი პროფესიული დონე კიდევ უფრო აამაღლა. ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ, თუ ექსტრემალური სიტუაცია შეიქმნა, ქართველი მესაზღვრე აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას, მით უფრო, რომ ვფიქრობ, "ცხელი" ზაფხული გველის,"** – ამბობს ვალერი ჩხეიძე. მისი თქმით, თოვლის დნობასთან ერთად საქართველოს საზღვრებზე ჩეჩენ ბოევიკებს უნდა ველოდოთ. სასაზღვრო ძალების სარდალი დარწმუნებულია, რომ მესაზღვრეები დაუპატიჟებელ სტუმრებს საკადრის პასუხს გასცემენ.

სასაზღვრო დეპარტამენტის შტაბის უფროსი კორნელი სალია აღნიშნავს, რომ მეგობარი თურქეთის დროულად გამოწვდილმა ხელმა საქართველოს თავდაცვის სისტემას უდიდესი დახმარება გაუწია.

სასაზღვრო რაზმ "ლილოს" ტერიტორიაზე სასწავლო ცენტრი 1999 წელს სწორედ საქართველო-თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა. 2000 წლის აგვისტოში თურქულმა მხარემ ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი ახალი სასწავლო კომპლექსი ააშენა. მშენებლობაცა და სწავლებაც თურქეთმა საკუთარი სახსრებით დააფინანსა. 1999 წლიდან დღემდე გადამზადების სამთვიანი კურსები სასწავლო ცენტრში 341-მა ოფიცერმა გაიარა.

როგორც ვალერი ჩხეიძე ამბობს, მიმდინარე წელს ლილოს სასწავლო ცენტრი მესაზღვრეთა კიდევ ოთხ ნაკადს უმასპინძლებს. დეპარტამენტის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან ზამთარში მთიან საზღვარს მესაზღვრესთან ერთად დიდთოვლობაც კარგად იცავს, ამიტომ ზამთრის პერიოდში ლილოს ტერიტორიაზე წვრთნას მთის საგუშაგოების მესაზღვრეები გაივლიან. სავარაუდოდ, ეს იქნებიან ხევსურეთის, თუშეთის, ქიზიყის მესაზღვრეები.

## საქართველო და აზერბაიჯანი სიღარიბის დაძლევას იწყებენ

სიღარიბის დაძლევის პროგრამისა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საკითხების განსახილველად, სავალუტო ფონდის მისიის წევრები ეკონომიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველს თემურ ბასილიას შეხვდნენ. როგორც ბასილია აცხადებს, სიღარიბის დაძლევის პროგრამაზე მომუშავე ქვეკომისიების სხდომები უკვე ჩატარდა, რომელთა საფუძველზე დოკუმენტში გარკვეული ცვლილებები შევა. ამის შემდეგ დოკუმენტს დონორი ორგანიზაციები გაეცნობიან. საბოლოოდ, მას საქართველოს პრზიდენტი ედუარდ შევარდნაძე განიხილავს და დაამტკიცებს. ბასილია ვარაუდობს, რომ აღნიშნული პროცედურა მარტისთვის დამთვარდება. მისი თქმით, დონორებთან პრობლემები არ შეიქმნება. როგორც ცნობილია, სიღარიბის დაძლევის პროგრამისათვის მსოფლიო ბანკი საქართველოს 160 მილიონი აშშ დოლარის კრედიტს გამოუყოფს, რომელიც 10-13 წლის განმავლობაში მოხმარდება სხვადასხვა სფეროებში რეფორმების განხორციელებას. პრიორიტეტულ სფეროებად კი მსოფლიო ბანკი ჯანდაცვას, საპენსიო ფონდს, განათლებას, ენერგეტიკის სექტორს და მცირე ბიზნესის განვითარებას აცხდებს, ანუ იმ სფეროებს, რომლებიც, უშუალოდ, უკავშირდება ქვეყნის სოციალურ განვითარებას.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა კი უკვე მოაწერა ხელი ბრძანებულებას "აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 2003-2005 წლებში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამის" დამტკიცების შესახებ. პროგრამის მიხედვით, სიღარიბის კრიტერიუმად მიიღეს მინიმალური სამომხმარებლო კალათის დონე - ერთ სულ მოსახლეზე მინიმუმ 120 ათასი მანათი. აზერბაიჯანში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 47-49 პროცენტი ცხოვრობს, იგივე მაჩვენებელი საქართველოში 55 პროცენტს შეადგენს. ალიევის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ითვალისწინებს მაკროეკონმიკური სტაბილურობის განმტკიცებას, ეკონომიკის დაბალანსირებულ განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, პრივატიზების დაჩქარებას, ბიზნესის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტებია განათლების, ჯანდაცვის, კომუნალური მომსახურებისა და სოციალური სფეროს განვითარებაც.

პროგრამის განხორციელება 3 მილიარდი დოლარი დაჯდება. მისი რეალიზების შემდეგ აზერბაიჯანში სიღარიბის დონის მკვეთრად შემცირებას და საშუალო ხელფასის თითქმის ორჯერ გაზრდას ვარაუდობენ.

*24 საათი.*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# გაერო-მ ირანის ინსპექტირება დაიწყო


გაეროს ინსპექტორები ირანში

22 თებერვალს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს თავმჯდომარე მოჰამად ელ ბარადეი და გაერო-ს ინსპექტორთა ჯგუფი სპეციალურად ჩავიდნენ ირანში, რათა თეირანის ბირთვული პროგრამები შეამოწმონ, - იუწყება ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "ირნა".

გაერო-ს ინსპექტორების ჩასვლა ამერიკის შეშფოთებამ გამოიწვია, რომელიც ირანის განცხადებას მოჰყვა. განცხადების თანახმად, თეირანი საკუთარი ბირთვული საქმიანობის გაფართოებას აპირებს.

ელ ბარადეიმ და გაერო-ს ინსპექტორებმა ორი მშენებარე სადგური მოინახულეს ნათანცისა და არაკის მახლობლად, ადგილები, რომლებიც, ვაშინგტონის მტკიცებით, ბირთვული იარაღისათვის საჭირო ურანის საწარმოებლად შეიძლება იქნას გამოყენებული.

ისინი ასევე გეგმავენ ირანის პირველი ბირთვული რეაქტორის მონახულებას, რომელიც ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ ბუშერში შენდება. გაერო-ს ინსპექტორები პრეზიდენტ მოჰამად ხათამისთანაც აპირებენ შეხვედრას.

ირანი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მისი ბირთვული პროგრამები, მხოლოდ სამოქალაქო დანიშნულებისაა, თუმცა, აშშ-ს აზრით, ირანის ზოგიერთი რეაქტორი, შესაძლოა, ბირთვული იარაღის გასავითარებლად გამოიყენონ.

მოჰამად ელ ბარადეის ირანში ვიზიტი მას შემდეგ გადაწყდა, რაც პრეზიდენტმა ხათამიმ განაცხადა, რომ ირანმა ქალაქ იაზდის მახლობლად ურანის საბადო აღმოაჩინა და მოპოვებითი სამუშაოები დაიწყო.

პრეზიდენტის თქმით, ირანი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყანაა და ახლა ის მზად არის, ბირთვული ენერგია სავსებით ლეგალურად, საგარეო დახმარების გარეშე აწარმოოს.

ელ ბარადეიმ კვირის დასაწყისში განაცხადა, რომ იგი ირანის ხელისუფლების დარწმუნებას შეეცდება, რათა მათ ე.წ. დამატებით პროტოკოლზე მოაწერონ ხელი, რომელიც გაერო-ს ინსპექტორებს უფრო დეტალური ინსპექტირების ჩატარების საშუალებას მისცემს.

თეირანის მტკიცებით, სახელმწიფოებს "ხელშეუვალი უფლება" აქვთ, რომ ბირთვული პროგრამები "სამშვიდობო და სასარგებლო მიზნებისათვის" განავითარონ. ამავდროულად, ქვეყნის მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის სრულყოფილი ინსპექტირებისათვის.

"სხვა ხელისმომწერი სახელმწიფოების მსგავსად, ჩვენც მზად ვართ, ინსპექტორები ნებისმიერ დროს მივიღოთ, როდესაც ისინი მოისურვებენ", - აღნიშნა მთავრობის წარმომადგენელმა.

ურანის მოპოვება ამჟამად სავანდის რეგიონში მიმდინარეობს, ისტორიულ ქალაქ იაზდიდან 200 კილომეტრის დაშორებით. ურანის დასამუშავებელი საწარმოები ისფაჰანსა და ქაშანში დაფუძნდა. ეს კი თეირანმა, ძირითადად, რუსეთის დახმარებით განახორციელა. შეერთებულმა შტატებმა არაერთხელ გამოხატა თავისი შეშფოთება რუსეთის მიერ ირანისათვის გადაცემული ბირთვული ტექნოლოგიების გამო.

ხათამის განცხადებით, ირანს სურს, რომ ბირთვულ რეაქტორებში გამოყენებული, გაღარიბებული ურანი თავად დაიტოვოს. ეს კი ბირთვული იარაღის წარმოების საკვანძო ელემენტია.

ამჟამად ირანი დაჩქარებული ტემპებით, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში არსებულ საპორტო ქალაქ ბუშერში, რუსული ტიპის ბირთვულ რეაქტორს რუსი სპეციალისტების უშუალო მეთვალყურეობით აშენებს. მოსკოვთან გაფორმებული კონტრაქტის ღირებულება, დაახლოებით, 800 მილიონ დოლარს შეადგენს. რეაქტორის გაშვება 2003 წლის ბოლოს ან 2004 წლის ზაფხულისათვის არის ნავარაუდევი.

ირანი ამტკიცებს, რომ ატომური ელექტროსადგურებიდან მიღებული ელექტროენერგია 65-მილიონიანი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სჭირდება.

თუმცა, აშშ, რომელმაც გასულ წელს ირანი, ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად, "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა რიგებს მიათვალა, ისლამურ რესპუბლიკას ტერორიზმის სახელმწიფო სპონსორად თვლის. ვაშინგტონმა თეირანის აღნიშნული გადაწყვეტილება მკაცრად გააკრიტიკა, რადგან თეთრი სახლის აზრით, ირანის ნავთობისა და გაზის უზარმაზარი რესურსები ენერგიით უზრუნველსაყოფად სავსებით საკმარისია.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, რიჩარდ ბაუჩერის თქმით, ვაშინგტონი "ძალიან შეშფოთებულია იმით, რომ ირანი მშვიდობიან ბირთვულ პროგრამებს საბაბად იყენებს ბირთვული შეიარაღების პროგრამების გასავითარებლად".

*"24 საათი"*

# ღამის კლუბში ხანძარმა 96 ადამიანი იმსხვერპლა


შემთხვევის ადგილზე

ცეცხლი მას შემდეგ გაჩნდა, რაც პიროტექნიკიდან გადმოცვენილი ნაპერწკლები კედლებსა და ჭერს მოედო. მთელი სცენა მაშინვე აალდა. სამ წუთში მთელი დარბაზი დამწვარი იყო, – იხსენებენ თვითმხილველები.

ტრაგედია მაშინ მოხდა, როდესაც როკ-ჯგუფი "გრეით უაიტი" კონცერტს მართავდა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პატარა შტატის, როუდ-აილენდის ქალაქ უესტ უორკვიკში, 350 მაყურებლის წინაშე.

ფეიერვერკის გამოყენება სანახაობის ერთ-ერთი ნაწილი იყო. კლუბის მეპატრონეები ახლა აცხადებენ, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და, რომ სცოდნოდათ, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ, რადგან დარბაზის ჭერი საამისოდ ძალიან დაბალი იყო.

უვნებლად სულ რამდენიმე ადამიანი გადარჩა. 96 მაყურებელი დაიღუპა, ხოლო 200-მდე დაშავდა და საავადმყოფოებში მოათავსეს. გადარჩენილები ყვებიან, რომ თავიდან მათ ხანძარი შოუს ნაწილი ეგონათ და მისი ჩაქრობა არ უცდიათ. 30 წამის შემდეგ გამოსვლა უკვე შეუძლებელი იყო. ცხედართა დიდი ნაწილი მთავარი კარების სიახლოვეს აღმოაჩინეს.

ცხედრების ამოცნობა ახლაც გრძელდება. დაკარგულთა ნათესავები ახლოს მდებარე სასტუმროში არიან შეკრებილნი და ცნობებს იქ ელოდებიან. "საშინელი სანახავია, როდესაც ხედავ, თანდათანობით როგორ კვდება მათში იმედი," – განაცხადა შტატის გუბერნატორმა. შიშობენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

ქალაქის ადმინისტრაცია, დარბაზის მფლობელები და მუსიკოსები პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ. პოლიცია აცხადებს, რომ საქმე ჯერ არ არის აღძრული, მაგრამ შეიძლება აღიძრას. დავის საგანი ის იქნება, ჰქონდათ თუ არა მუსიკოსებს ფეიერვერკების მოწყობის უფლება და სათანადოდ იყო თუ არა დაცული სახანძრო უსაფრთხოების წესები.

რამდენიმე დღის წინ, ჩიკაგოს ღამის კლუბში მომხდარმა ხანძარმა 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

# ომის დაწყება დღითიდღე ახლოვდება

პირველი გვერდიდან

ამასობაში კი ომი ყოველდღიურად ახლოვდება. გუშინ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაკიშმა განაცხადა, რომ, პრაქტიკულად, უკვე მიღწეულია შეთანხმება ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების დისლოცირების შესახებ.

ორი დღის წინ თავდაცვის მინისტრმა რამსფელდმა მოახსენა პრეზიდენტ ბუშსა და, მასთან ერთად, მთელ მსოფლიოს სპარსეთის ყურეში მოკავშირეთა არმიის სრული მზადყოფნის შესახებ.

ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის, ბრიტანეთმა და რუსეთმა თავის მოქალაქეებს მოუწოდა, დაუყოვნებლივ დატოვონ ერაყი. გაერო-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მან ორჯერ შეამცირა ერაყში მყოფ თანამშრომელთა რაოდენობა.

მას შემდეგ, რაც თურქეთში ამერიკის ჯარები განლაგდებიან - ეს კი უახლოეს რამდენიმე დღეში უნდა მოხდეს - ომისათვის ყველაფერი მზად იქნება და მის დასაწყებად საბაბილა იქნება საჭირო.

ამგვარ საბაბად შეიძლება იქცეს 1 მარტს უშიშროების საბჭოში დაგეგმილი, ბლიქსის მოხსენება. თუ ინსპექტორთა ხელმძღვანელმა არ განაცხადა, რომ ერაყმა ყველა "ალ-მასუდი" გაანადგურა, შეიძლება ითქვას, რომ საბაბი უკვე არსებობს.

ბლიქსისა და ბარადეის შემდეგი მოხსენებები 7 და 15 მარტისათვის არის დაგეგმილი. ექსპერტთა დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ ეს ბოლო მოხსენებები იქნება.

*ეკონომიკა*

# სილამაზის სალონები ფიქსირებული გადასახადით დაიბეგრება

სოფიკო ოხანაშვილი

"გაერთიანებულმა მეწარმეებმა" კლუბ "სარდაფში" რიგით მეთვრამეტე – სილამაზისა და ესთეტიკის გილდიის პრეზენტაცია მოაწყვეს. გილდიის მიზანია სილამაზისა და ესთეტიკის სფეროში არსებული ლიცენზიებისა და საგადასახადო სისტემის პრობლემების მოწესრიგება, კონკურსებისა და შოუპროგრამების ორგანიზება, რომლებსაც მომავალში საერთაშორისო სტატუსიც მიენიჭება ამიერკავკასიის, დსთ-ს, სუამის მასშტაბით და ა.შ. **"სილამაზის მომსახურეობის სფერო ძალიან მოუწესრიგებელია. უმრავლესობა არაოფიციალურად მუშაობს. ჩვენ გვინდა, რომ ჩრდილოვან სექტორში მომუშავე სალონები ლეგალურ სექტორში გადავიდნენ. ეს კი, მხოლოდ ერთი გზით არის შესაძლებელი – უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი ფიქსირებული გადასახედი. გადასახადის შემცირებით ბიუჯეტის შემოსავლები ოთხჯერ გაიზრდება",** - განაცხადა "გაერთიანებული მეწარმეების" თავმჯდომარემ მარინა შენგელიამ.

არაოფიციალური მონაცემებით თბილისში სილამაზის სალონების რაოდენობა 3000 აჭარბებს. ოფიციალურად კი, მხოლოდ 156 სალონია რეგისტრირებული.


სილამაზის სალონებს მაღალი გადასახადები მუშაობაში უშლით ხელს.

გილდიის ავტორებმა სარდაფში შეკრებილ სტილისტებს, დიზაინერებს და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს პროექტის პირველადი ვარიანტი წარუდგინეს, რომლის თანახმადაც სილამაზის სალონები სამი კრიტერიუმის მიხედვით რამდენიმე კატეგორიად იყოფა. კრიტერიუმებია: ზონალური მდებარეობა, განთავსების ფართი, მომსახურეობის სპექტრი. გილდიის კოორდინატორისა და სილამაზის სალონის "ლედი"-ს მფლობელის კოტე დალაქიშვილის თქმით, სალონის კატეგორიას უწყებათაშორისი კომისია განსაზღვრავს. მის შემადგენლობაში შევლენ საქსტანდარტის, სანეპიდსადგურის, სახანძრო სამსახურის წარმომადგენლები. პროექტის თანახმად, ფიქსირებული გადასახადის დაწესებაც სწორედ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების შეჯერების საფუძველზე მოხდება. საბოლოოდ, კომისიის მიერ დამტკიცებული კატეგორია ამ სალონისთვის გაცემულ ლიცენზიაში ჩაიწერება. დალაქიშვილის განცხადებით, ამის შემდეგ, სილამაზის სალონის მფლობელი ყოველთვიურად გადაიხდის მხოლოდ იმ ფიქსირებულ გადასახადს, რაც ამ კატეგორიის სალონს ეკუთვნის.

არსებულ "ცუდ საგადასახადო სისტემაზე" ისაუბრა გილდიის კოორდინატორმაც. მისი თქმით, ამჟამად, სილამაზის სალონები და სამოდელო სააგენტოები ძალიან შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მათ ერთდროულად რამდენიმე უწყება ამოწმებს და "ყველა თავის წილს" ითხოვს. **"ერთდროულად რამდენიმე უწყება გვაწუხებს, საქსტანდარტს, სახანძროს, სანიტარული ზედამხედველობის დეპარტამენტს ახლა ანტიკორუფციულიც დაემატა",** - განაცხადა დალაქიშვილმა.

პროექტის ავტორების თქმით, ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ არის დაკონკრეტებული ფიქსირებული გადასახადის ოდენობა. დალაქიშვილის ინფორმაციით, გადასახადების შეჯერება სილამაზის სალონების მფლობელებთან გილდიის გაფართოებულ სხდომაზე მოხდება. მისივე თქმით, ამ ინიციატივის ავტორები პროექტის კანონპროექტად ჩამოყალიბებასაც გეგმავენ, რაშიც გილდიის წევრებს "გაერთიანებული დემოკრატების" დახმარების იმედი აქვთ.

# სოხუმში არასაბიუჯეტო ფონდების საქმიანობას აკრიტიკებენ

პირველი გვერდიდან

**ქვეყანა იმყოფება, სპეციალისტების დაკარგვის უფლება არა გვაქვს,"** - განაცხადა პრემიერმა.

შენიშვნები არაეფექტური მუშაობის გამო მიეცა სოციალური დაზღვევისა და შრომის დაცვის ფონდის დირექტორს ზაურ მალიასაც. **"ერთდროულ დახმარებას ახალშობილთათვის რესპუბლიკაში მხოლოდ ყოველი მეათე ქალი იღებს. თუ ფონდი დახმარებას არავის უწევს და მის ანგარიშზე დიდი რაოდენობის ფული რჩება, ეს იმას ნიშნავს რომ ხალხი ფონდის არსებობის შესახებ ინფორმირებული არ არის,"** -განაცხადა გაგულიამ. არასაბიუჯეტო ფონდების მუშაობის შედეგების განხილვის შეჯამებისას გენადი გაგულიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია მუშაობის გააქტიურება მოსახლეობისათვის დახმარების გაწევისა და ფულადი აქტივების გამჭვირვალობის მიზნით.

# პირველი მარტიდან აშშ ანტიჩეჩნურ ფინანსურ სანქციებს აამოქმედებს

აშშ-ს მთავრობამ გადაწყვიტა, 1 მარტიდან ფინანსური სანქციები შემოიღოს იმ სამი ჩეჩნური დაჯგუფების წინააღმდეგ, რომლებსაც აშშ-ს ტერიტორიაზე საკუთარი წარმომადგენლობები და ფულადი აქტივები აქვთ.

ეს ჯგუფები ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორგანიზაციების ერთობლივ "შავ სიაში" უკვე შეიტანეს. სიის ავტორები არიან აშშ-ის სახელმწიფო დეპრატამენტი და ფინანსთა სამინისტრო. ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ გაიყინება არა მარტო ამ სტრუქტურების საბანკო ანგარიშები, არამედ მათ წარმომადგენლებს აეკრძალებათ აშშ-ში ყოფნა და ამ ქვეყანაში ხანმოკლე ვიზიტით ჩასვლაც კი.

ადრე ამერიკის მთავრობამ რუსეთს მიმართა თხოვნით, 1992 წელს ილინოისის შტატში დაფუძნებული კერძო ფონდის - "გულისხმიერების" და მეორე ორგანიზაციის - Global Relief–ის აშშ-ში საქმიანობა შეეჩერებინა. მათ მოსკოვი ტერორიზმის მხარდაჭერაში ადანაშაულებდა.

იანვრის ბოლოს რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე სერგეი იასტრჟემსკი ვაშინგტონს ეწვია, სადაც დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკება გამართა აშშ-ს პრეზიდენტის თანაშემწესთან ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისსთან.

რუსეთის დესპანმა თეთრ სახლს კიდევ სამი ჩეჩნური ორგანიზაციის სია გადასცა. მოსკოვი მოითხოვდა აშშ-ში მათი საქმიანობის შეწყვეტას და "ტერორისტული ორგანიზაციების შავ სიაში" შეტანას.

როგორც აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, ამერიკის სპეცსამსახურების მონაცემებით და რუსეთის მიერ წარმოდგენილი მასალებით, გადაწყდა აშშ-ის ტერიტორიაზე მოქმედი სამი ჩეჩნური ორგანიზაციის აკრძალვა.

როგორც ჩანს, საუბარია შამილ ბასაევთან მჭიდროდ დაკავშირებულ "შაჰიდი-თვითმკვლელების" ბატალიონზე, ``იჩქერიის და დაღესტნის ხალხთა კონგრესზე`` და ``კავკასიის მოჯაჰედთა გაერთიანებულ არმიაზე``. ყველა ეს დაჯგუფება გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, აშშ-ში თანხებსა და შემოწირულობებს აგროვებდა იარაღის, საბრძოლო მასალების და სამხედრო ფორმის შესაძენად.

როგორც ცნობილი გახდა, ამ დაჯგუფებათა საქმიანობის აღკვეთის თხოვნით რუსეთის მხარემ აშშ-ს ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში მიმართა. შემდეგ სერგეი იასტრჟემსკიმ ვაშინგტონში ვიზიტის დროს კონდოლიზა რაისს ამ ორგანიზაციების ტერორიზმში ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები გადასცა და ახლა აშშ-ს მთავრობამ გადაწყვიტა, მიიღოს ზომები ამერიკაში ამ სტრუქტურების მუშაობის აღსაკვეთად.

*"ინტერ-პრესი"*

# ერაყში ომი მსოფლიოს ტრილიონ დოლარს დააკარგვინებს

თუ 2003 წელს ერაყში ხანმოკლე საომარი ოპერაცია ჩატარდა, მსოფლიო ეკონომიკის დანაკარგები 2010 წლისთვის ტრილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამ დასკვნამდე მივიდნენ ავსტრალიელი მეცნიერები. თუკი ერაყში ომი გაჭიანურდა, მსოფლიო ეკონომიკის დანაკარგი 2010 წლისთვის სულ ცოტა სამჯერ გაიზრდება.

მეცნიერთა გამოანგარიშებით, საომარი ოპერაციის დასრულების შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკა რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველწლიურად დაკარგავს ყველა სახელმწიფოს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ერთ პროცენტს. შესაძლოა, 2003 წელს ამ დანაკარგებმა 173 მილიარდი დოლარი შეადგინოს.

ავსტრალიის სარეზერვო ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრის უორვიკ მაკიბინის და საერთაშორისო ეკონომიკის ცენტრის ხელძღვანელის ენდრიუ სტოეკის აზრით, მოვლენები, ალბათ, ორი სცენარით განვითარდება : პირველი - ოპერაცია ერაყში რამდენიმე თვე გაგრძელდება, შემდეგ კი ერთი ან ორი წელი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენას დასჭირდება. მეორე - საომარი ოპერაცია ხუთი წელი გაგრძელდება, მისი შედეგების ლიკვიდაციას კი კიდევ 5 წელი დასჭირდება.

**"ერაყში ომი ხანმოკლეც რომ იყოს, ნავთობის გაძვირების, საბიუჯეტო სახსრების ზრდის და საერთო ეკონომიკური არასტაბილურობის გამო, ოპერაციის დასრულების შემდეგ მსოფლიო ეკონომიკა რამდენიმე წლის განმავლობაში მთლიანი ეროვნული პროდუქტის ერთ პროცენტს დაკარგავს,"** - ნათქვამია გამოკვლევაში.

საომარი ოპერაციების ხარჯების ძირითადი ტვირთი აშშ-ს დააწვება; თუმცა, დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირის ქვეყნები და ავსტრალია ასევე იძულებულნი იქნებიან, გაზარდონ საბიუჯეტო ხარჯები ; იაპონიის ეკონომიკას კი, ავსტრალიელ მეცნიერთა აზრით, ყველაზე დიდი ხარჯების გაწევა ერაყის აღდგენის დროს მოუწევს.

ოპეკ-ის წევრი ქვეყნები თავდაცვის ხარჯებს გაზრდიან (ერაყის მხრიდან აგრესიის შიშით), რაც, საბოლოო ჯამში, ნავთობზე ფასების ზრდას გამოიწვევს.

ავსტრალიელ მეცნიერთა აზრით, თუ ერაყში ომი დაიწყება, ერთი ბარელი ნავთობის ფასი 90 პროცენტით გადააჭარბებს 25-დოლარიან ნიშნულს. თუ საომარი ოპერაცია ხანმოკლე იქნება, მისი დასრულების შემდეგ მკვეთრად დაეცემა ნავთობის ფასი. ერთი ბარელი ნავთობი 25 დოლარზე ბევრად ნაკლები ეღირება.

*"ინტერ-პრესი"*

### პენსიონერთა ბუნტი

"ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" მიერ ორგანიზებულმა პენსიონერთა აქციების ტალღამ სამტრედიიდან ქუთაისში გადაინაცვლა. გუშინ კობა დავითაშვილმა ქუთაისის საოპერო თეატრში 800-მდე პენსიონერს სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმის აღძვრაში სთხოვა მხარდაჭერა.

"ეს მოძრაობა იმერეთში დაიწყო და მთელ საქართველოს მოედება. ჩვენ წავგლეჯთ სახელმწიფოს ათეულობით მილიონ ლარს, რომელიც პენსიონერებს წაართვეს", - განაცხადა შეხვედრაზე დავითაშვილმა. "ნაციონალების" ორგანიზებით იმერეთში დაწყებულ საპროტესტო აქციებს პრეზიდენტის რწმუნებული რეგიონში, თემურ შაშიაშვილი სკეპტიკურად ეკიდება. "უცნაურია, რომ იმერელ პენსიონერებს სწორედ ის ძალა აბუნტებს, რომელმაც მათ 30 მილიონი ლარი დაუგროვა ვალად", - განაცხადა შაშიაშვილმა. **ინტერ-პრესი**

### დაე, იშრიალონ ნერგებმა

ლილოს ნაგავსაყრელს უახლოეს მომავალში გაამწვანებენ. კეთილმოწყობის სამსახური ლილოს ნაგავსაყრელის გაუქმებას გაზაფხულისთვის აპირებს. ნარჩენი ნაგავსაყრელიდან იაღლუჯის მთაზე, ახალ ნაგავსაყრელზე გადავა, დარჩენილი ნაწილი კი მიწით დაიფარება, რის შემდეგაც გაუქმებულ ნაგავსაყრელზე კეთილმოწყობის სამსახური არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ნორჩი ნერგების გაშენებას გეგმავს.

ლილოს ნაგავსაყრელის დახურვა თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციამ იმ მიზეზით მოითხოვა, რომ იგი თბილისის აეროპორტის ასაფრენი მოედნის ახლოს მდებარეობდა. ნაგავსაყრელის სალიკვიდაციოდ 200 ათასი ლარი თბილისის მერიამ გამოყო. **ინტერ-პრესი**

### კოდექსი გაჩვენებთ სეირს

სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება უახლოეს მომავალში სანიტარული კოდექსით დაისჯება. კოდექსს პარლამენტი, სავარაუდოდ, გაზაფხულზე მიიღებს. სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენის ნორმების სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ შავდიამ განაცხადა, რომ კოდექსის პროექტი, რომელიც 45 მუხლისა და 10 თავისაგან შედგება, პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო და ამჟამად პროექტს კომიტეტებში განიხილავენ. მისივე თქმით, კოდექსის მიღების შემდეგ გამკაცრდება კონტროლი სავაჭრო ობიექტებში საკვები პროდუქციის შენახვის პირობებზე, წყლის ხარისხზე და ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხესთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებზე. **ინტერ-პრესი**

### ამინდის პროგნოზი

თებერვლის ბოლომდე ჰიდრომეტეოროლოგები თბილისში, თოვლის სახით, უხვ ნალექს, მისი შეწყვეტის შემთხვევაში კი 9 გრადუსამდე ყინვას ვარაუდობენ.

ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში ცნობით, ძლიერი ყინვა უფრო აღმოსავლეთ საქართველოშია მოსალოდნელი, დასავლეთ საქართველოში კი ტემპერატურის ვარდნა მხოლოდ 2 გრადუსამდეა ნავარაუდევი.

ნალექის მატებას, ძირითადად, შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან და კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოსული ჰაერის მასები განაპირობებს, რომელსაც სამხრეთიდან დაბალი წნევის არე გაააქტიურებს. **ინტერ-პრესი**

### ისევ ჯაჭვები

ინტენსიური თოვლისა და გზების მოყინვის გამო, საქართველოს ავტოსატრანსპორტო გზების უმეტესობაზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გარეშე მოძრაობა აიკრძალა.

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის ავტოსატრანსპორტო გზაზე, ასევე მლეთა-გუდაური-კობის, ხაშური-ვალე-თურქეთის მონაკვეთებსა და ახალციხე-ნინოწმინდის - 85-110 კილომეტრზე ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა მხოლოდ ჯაჭვების გამოყენებითაა დაშვებული. აღნიშნულ გზაზე მისამბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი, "იკარუსისა" და მასთან გათანაბრებული ტიპის ტრანსპორტის მოძრაობა კი საერთოდ აიკრძალა.

საგზაო პოლიცია მძღოლებს აფრთხილებს, რომ სენაკი-ლესელიძის გზის თბილისი-ქარელის მონაკვეთზე, ლიპყინულის გამო, მოძრაობა გართულებულია. საგზაო დეპარტამენტის ცნობით, დასავლეთ საქართველოში ინტენსიურად თოვს, მაგრამ გზებზე რაიმე გართულება მოსალოდნელი არ არის. **ინტერ-პრესი**

### "როიტერს" უჭირს

ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო „როიტერი", რომელიც ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების მსოფლიო ლიდერად არის მიჩნეული, თავისი 150-წლიანი არსებობის ისტორიაში პირველად განიცდის ფინანსურ კრიზისს.

2002 წელს, საფინანსო და საბირჟო ბაზრებზე სიტუაციის გაუარესების გამო, სააგენტომ 747 მლნ ევროთი იზარალა, როცა 2001 წელს როიტერმა 158 მლნ გირვანქა სტერლინგი მოგება ნახა.

კომპანიის კაპიტალბრუნვის მოცულობამ 2002 წელს იკლო 8 პროცენტით, რაც უახლოეს ორ წელიწადში სამი ათასი თანამშრომლის დათხოვნის მიზეზი გახდება. ამჟამად "როიტერში" 16 ათასი თანამშრომელია. **.მედია-ნიუსი.**

### მოკლედ

**თბილისი.** გუშინ დილით, 09.15 საათზე საბურთალოს რაიონში, კანდელაკის N4-თან გარდაცვლილი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს.

თვითმხილველების თქმით, მამაკაცი, დაახლოებით, 60 წლამდე ასაკის უნდა ყოფილიყო. წინასწარი ინფორმაციით, იგი ტაშკენტის ქუჩაზე ცხოვრობდა.

თვითმხილველთა თქმით, აღნიშნულ პიროვნებას კანელაკის ქუჩაზე ხშირად ხვდებოდნენ. გუშინ დილით მან ქუჩაში მოულოდნელად გონება დაკარგა და ადგილზე გარდაიცვალა.

მიმდინარეობს გარდაცვლილის ვინაობის დადგენა. მოკვლევას საბურთალოს რაიონის პოლიცია აწარმოებს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 2002 წლის განმავლობაში საქართველოში უცხოელების მიმართ ჩადენილი 130 დანაშაულია რეგისტრირებული, რომელთაგან მხოლოდ 52-ია გახსნილი. აღნიშნული მაჩვენებელი 56 ერთეულით აღემატება 2001 წლის მონაცემებს. ამასთან, 2002 წელს რეგისტრირებული დანაშაულებიდან 69 მძიმე კატეგორიისაა, მათ შორის მხოლოდ 30-ია გახსნილი. ჩადენილ დანაშაულთაგან 76 დედაქალაქშია მომხდარი. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური პროკურატურა უახლოესი 2-3 დღის განმავლობაში წარმოადგენს თავის დასკვნას პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მთავრობის წევრთა მხრიდან შესაძლო შეთქმულების მოწყობის თაობაზე.

ამ ეტაპზე პროკურატურას ამ საკითხზე, თითქმის, ყველა საჭირო პირისგან აქვს ახსნა-განმარტება მიღებული ერთის გარდა, რომლის ვინაობასაც არ ასახელებენ. არ ასახელებენ არც იმ თანამდებობის პირებს და პოლიტიკურ ფიგურებს, რომელთაც ახსნა-განმარტებები უკვე ჩამოერთვათ. **პრაიმ-ნიუსი.**

## პედაგოგებს გოგიაშვილის გაღიმებული სახე თვალში არ მოსდით

პირველი გვერდიდან

სრულიად საქართველოს პროფკავშირის სახელით, მანანა კობახიძემ გოგიაშვილს შეუთვალა, რომ სახელმწიფო სკოლებამდე დროულად უნდა მიაღწიოს იმ გროშებმა, ხელფასი რომ ჰქვია; მინისტრმა უპასუხოს პროფკავშირების შეკითხვებს, შესაბამისი ნაბიჯები გადადგას - ანუ "რამედ" ჩააგდოს; დროულად დაიფაროს დავალიანებები, თორემ კუს ნაბიჯებით თუ იარა, მალე მევალეების რაოდენობაც განახევრდება (უბრალოდ, ფიზიკურად განადგურდებიან).

ფინანსთა სამინისტროს მიმართ ერთ-ერთ ბრალდებად ფულის გაქრობის კლასიკური ქართული შემთხვევაც დასახელდა - ცენტრალური ბიუჯეტიდან რაიონში ტრანსფერი დროულად გადაიგზავნა, მაგრამ, ხელფასის დარიგების ნაცვლად, ამ თანხით ამოუღებელი გადასახადები დაფარა.

განათლების მინისტრმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას და მტკივნეული და ემოციური დიალოგის შემდეგ დამსწრე პედაგოგიური საზოგადოების წარმომადგენლები დაარწმუნა, რომ არც სკოლების დახურვა უნდა, არც მასწავლებლების სკოლიდან გაყრა და, რაც მთავარია, ერთი სული აქვს, როდის დააბალანსებს კატეგორიების მიხედვით მასწავლებლების ხელფასებს, ხელფასების ვალის დაფარვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

შეთანხმება, რომელიც მანანა კობახიძემ, პედაგოგთა სახელით, დადო ალეკო კარტოზიასთან, ითვალისწინებს შემდეგს: 2003-2004 სასწავლო წლამდე ჩატარდება ატესტაცია; არც 20-პროცენტიანი, არც საბიუჯეტო და, საერთოდ, არანაირი შემცირება განათლებას არ შეეხება და ვიდრე საპენსიო პაკეტი არ მომზადდება, არც ერთი პედაგოგი, თავისი ნების გარეშე, არ დატოვებს სკოლას; ახალ სასწავლო წელს სკოლა ნორმატიული აქტებით შეიარაღებული შეხვდება.

პროფკავშირმა კარტოზიას პროცესში დროული ჩართვა სთხოვა და საჭიროების შემთხვევაში ოპონირებით გვერდში ამოდგომაც აღუთქვა.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, პედაგოგთა პროფკავშირები მუნიციპალური სკოლების იდეას არ სწყალობს და მან "მხურვალე" თხოვნით მიმართა ალეკო კარტოზიას: "შეხვდით სააკაშვილს და მოაგვარეთ მუნიციპალური სკოლების თემაო." მინისტრი დამსწრეთ საამისოდ მზადყოფნას დაჰპირდა.

**"24 საათი"**



შეხვედრა განათლების პროფესიულ კავშირიში.

## დიპლომი თოთხმეტმა რჩეულმა დაიმსახურა

ეთერ მამულაშვილი

*გუშინ მაგისტრის დიპლომით ხელდამშვენებულმა კიდევ თოთხმეტმა ახალგაზრდამ იზეიმა მართვის ევროპული უმაღლესი სკოლის დამთავრება. ოცთვიანი სპეციალური სამაგისტრო კურსის მოსმენის შემდეგ დღეს უკვე ყოფილი სტუდენტები აცხადებენ, რომ ESM-ის მაგისტრის დიპლომი მათ გზას უხსნის ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურაში სამუშაოდ.*

მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა ESM-თბილისი საქართველოში არსებობის მეთერთმეტე წელიწადს ითვლის. აქ სწავლა ძალზე პრესტიჟულად ითვლება. სკოლას, გარკვეული ბარიერების გადალახვის შემდეგ მოხვედრილი სტუდენტებიდან, მხოლოდ რჩეულები ამთავრებენ.

დღეს აქ 170 სტუდენტი ეუფლება ფინანსების, მარკეტინგისა და გენერალური მენეჯერის სპეციალობას. როგორც ESM-ის რექტორმა სულიკო ქადაგიძემ გვითხრა, სასწავლო წლის დასაწყისში ისინი 200-ნი იყვნენ, თუმცა იმის გამო, რომ რამდენიმე მათგანმა სწავლის პროცესში იზარმაცა, ან, უბრალოდ, დავალებას თავი ვერ გაართვა, იანვარში უმაღლესი სკოლიდან გარიცხეს.

ხსენებულ თოთხმეტ სტუდენტს ბედმა გაუღიმა და ESM-ის დიპლომანტთან ერთად სკოლის კლუბის მუდმივი წევრი გახდა. ორ მათგანს ამავე სკოლის ბაკალავრიატი აქვს დამთავრებული, დანარჩენები კი ESM-ში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოვიდნენ. ჩვენთან საუბარში კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ მართვის სკოლაში თეორიული განათლების მიღებასთან ერთად მათ მაღალკვალიფიციური პრაქტიკაც გაიარეს.

ოცდახუთი წლის ნინო ოხანაშვილმა მართვის უმაღლესი სკოლის დიპლომი მენეჯმენტში მიიღო. იესემელებმა ნინოს სკოლის დამთავრების გარდა, დედობაც მიულოცეს - ეს ჩვენი სკოლის პირველი შვილიშვილიაო, - აღნიშნავდნენ ლექტორები. ნინომ, რომელიც მეორე წელია, "თი-ბი-სი ბანკში" მუშაობს, გვითხრა: "როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, მივხვდი, რომ იქ მიღებული ცოდნით დღევანდელ რეალობაში საკუთარ ადგილს ვერ ვიპოვიდი. ESM-ში თანამედროვე სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და ჩემი უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად ჩავაბარე".

მართვის ევროპული უმაღლესი სკოლის განმასხვავებელი კიდევ ერთი შტრიხი - აბიტურიენტმა, რომელიც, მაგალითად, გადაწყვეტს, მართვის უმაღლეს სკოლაში მარკეტინგის სპეციალობას დაეუფლოს, საჭირო დოკუმენტაციაც უნდა ჰქონდეს და ESM-ს უნდა აუხსნას და დაუსაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზები.



ESM-ის კურსდამთავრებულები.

### სამართალი

## გენერალური პროკურორი საკადრო ცვლილებებით იმუქრება

სოფიკო ჩხაიძე

თუ საქართველოს პროკურატურის ორგანოების მუშაობას 2002 წელს ჩატარებული სასამართლო პროცესების რაოდენობით (7117) და ამ პროცესებზე პროკურორთა მონაწილეობით შევაფასებთ, პროკურატურის თანამშრომელთა შრომისმოყვარეობით აღფრთოვანება გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, ბადრი ბიწაძისგან, შესაძლოა, ჩვენც გადმოგვედოს. თუმცა, ამ 7117 სასამართლო პროცესში მონაწილეობას უმალ გადაწონის ის ათამდე გახმაურებული მკვლელობა, ადამიანის გატაცება თუ სხვა უმძიმესი დანაშაული, რომელთა გამოძიება პროკურატურას ბოლომდე არ მიუყვანია.

გუშინ გენერალურ პროკურატურაში ჩატარებული კოლეგიის სხდომა ჩვეულ სტილში – წარმატებული სტატისტიკით თავმოწონების, ზომიერი თვითკრიტიკის და, იშვიათად, მწვავე კრიტიკის ფონზე ჩატარდა (კრიტიკის ძირითად ობიექტს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენდა) სხდომაზე ითქვა ისიც, რომ, თავის დროზე ყველა რაიონის თუ ოლქის პროკურორს მოეთხოვა თითო კორუფციული საქმის გამოძიება და სასამართლომდე მიყვანა, თუმცა მათ მიერ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებში კორუფციულად მონათლულ საქმეთაგან არც ერთი არ არის მართლაც კორუფციული.

**"ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გავიგოთ, რომ ლიმონათის საამქროს უფროსი რომ ქრთამს აიღებს, ეს კორუფცია არ არის – კორუფცია სამოხელეო და სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწე თანამდებობის პირთა დანაშაულია. ასეთის გამოძიების სტატისტიკა კი ნულის ტოლია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ვერ დავეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც პროკურატურას, რეზონანსული კორუფციული საქმეების არარსებობის გამო, საყვედურობენ. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ, გარკვეული დროის წინ კორუფციული დანაშაულის გამოვლენის ფუნქცია ჩამოგვერთვა და სხვადასხვა უწყებებს გადაუნაწილდათ. მათ მიერ გამოგზავნილ მასალებს კი, სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით, მამხილებელი იშვიათად თუ შეიძლება დაერქვას"**, - განაცხადა ბადრი ბიწაძემ. მის მიერვე მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გენერალური პროკურატურა სიმკაცრეს იჩენს დამრღვევი თანამშრომლების მიმართ. ციფრებით ეს სიმკაცრე ასე გამოიყურება – 2002 წელს 42 პროკურორი თანამდებობიდან გათავისუფლდა, ჩატარდა 62 სამსახურებრივი მოკვლევა, 13 თანამშრომელს დისციპლინარული სასჯელი ერგო, 20-ს – საყვედური, 8 თანამშრომლის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. თუმცა, თუ პროკურატურის მესვეურებს მოვუსმენთ, ეს კიდევ არაფერია შს სამინისტროს მაჩვენებლებთან შედარებით, სადაც მხოლოდ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებში პროკურატურამ 84 უკანონო და დაუსაბუთებელი დადგენილება აღმოაჩინა. პროკურატურის პრეტენზიები პოლიციის მიმართ ამით არ ამოიწურება. თბილისის პროკურორის თქმით, პოლიციელები ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ აკავებენ ადამიანებს მაშინ, როცა, თითქმის, საერთოდ არ ტარდება ღონისძიებები ძებნილ პირთა დასაკავებლად. შესაბამისად, თბილისში 150-155 მკვლელი თავისუფლად დადის.

პროკურატურას, საკუთარი მონაცემებით, უკეთესი მდგომარეობა აქვს აღურიცხავ დანაშაულთა თვალსაზრისითაც - მათზე მხოლოდ სამი ასეთი დანაშაული მოდის, როცა შს სამინისტროს სტრუქტურების შემოწმებისას მხოლოდ თბილისში პროკურატურამ 150 აღურიცხავი დანაშაული გამოავლინა. მოკლედ, გუშინდელ კოლეგიის სხდომაზე გენერალურმა პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შედარებით აშკარა უპირატესობის დამტკიცება სცადა. თუმცა, გენერალური პროკურორი საქართველოში მძიმე დანაშაულთა რიცხვის ზრდაში თავის წილ პასუხისმგებლობასაც არ უარყოფს და ერთი კვირის მანძილზე სიტუაციის რადიკალურად გამოუსწორებლობის შემთხვევაში მკაცრი საკადრო ცვლილებებით იმუქრება.



გენერალური პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე.

რაგბი

# ლელოები ფანტელების თანხლებით


მატჩამდე...


მატჩის დროს...

პაატა თოთაძე
გიგა გურასაშვილი

## ევროპის ერთა თასი

საქართველო – ესპანეთი 34:3

***საქართველო:*** *შველიძე (რატიანიძე 55), ა. გიორგაძე (ხინჩაგაშვილი 80), ნიკოლაენკო, მათიაშვილი (მჭედლიშვილი 55), დიდებულიძე, ბოლღაშვილი, იაშვილი, ზედგენიძე, კვირიკაშვილი, ჯიმშელაძე, კაცაძე (გორგოძე 70), ი. გიორგაძე, ზიბზიბაძე (გუნდიშვილი 55), ურჯუკაშვილი (ელიზბარაშვილი 55), ხეხელაშვილი*

*5 ლელო – ნიკოლაენკო, ურჯუკაშვილი, ხეხელაშვილი, იაშვილი, გუნდიშვილი*

*3 გარდასახვა და 1 საჯარიმო – ჯიმშელაძე*

***ესპანეთი:*** *სალასარი, მონრეალი (რიპოლი 59), ორტეგა (მელა 41), აბრილი (სოუტუ 59), დე ლამასა, გარსია სალასარი (კრიადო 43), მატა, ტუინეაუ, ბელტრანი, კოვალენკო, კასკარა, ენსისო, ლუზსენი, ნავა (ფეიხოო 73), ველასკო*

*1 საჯარიმო – კასკარა*

გადათეთრებული იყო გუშინ დილით თბილისი. იმდენად გადათეთრებული, რომ ერთი პირობა მატჩის გამართვაც ეჭვქვეშ დადგა. "ასეთ ამინდში თამაში ძალიან სარისკოა. მოედანი გაყინულია? ჩემი გადასაწყვეტი არაა, მაგრამ თუ მოედანი გაყინულია, მწვრთნელები, ალბათ, მატჩის გადატანას მოითხოვენ", - მატჩამდე "24 საათთან" საუბარში განაცხადა ესპანელთა უკრაინელმა ნახევარმცველმა ანდრეი კოვალენკომ. ქართველთა სასიხარულოდ, არც მოედანი აღმოჩნდა გაყინული და არც მატჩის ჩატარებას შეუშალა ხელი თოვლმა.

ევროპის ერთა თასზე მეორე მატჩი, პირველისგან განსხვავებით, ბორჯღალოსნებისთვის წარმატებით დასრულდა. სხვათა შორის, თოვლი, ამ შემთხვევაში, სტუმრებს უფრო დაეხმარა. დამძიმებულ მოედანზე გადაადგილება ძნელი იყო, მოძრაობაში ბურთის გადაცემაც ჭირდა. ყველაფერი ეს კი შეტევის სწრაფად განვითარებას აფერხებდა, მას სიმძაფრეს აკლებდა. რაც უნდა იყოს, დღეს საქართველოს ნაკრები, ესპანელებთან შედარებით, მაღალი კლასის გუნდია და ეს გუშინ მოედანზეც ნათლად გამოჩნდა. 80 წუთის განმავლობაში ესპანელებს ერთი ნორმალური შეტევაც კი არ განუხორციელებიათ. ამიტომაც, გასაკვირია ესპანელთა მთავარი მწვრთნელის, პიერ პერესის მიერ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ნათქვამი სიტყვები: წაგების მიუხედავად, ჩემი ბიჭების თამაშით უკმაყოფილო არა ვარ. მათ, უბრალოდ, გამოცდილება აკლიათ, თორემ, სხვა მხრივ, არაფერი უჭირთო. ბორჯღალოსნების უპირატესობა, განსაკუთრებით, პირველ ტაიმში გამოიკვეთა, როცა მასპინძლებმა მეტოქე სამჯერ დაალელოვეს. შესვენების შემდეგ ვითარება ცოტათი შეიცვალა. მართალია, უპირატესობა კვლავაც ჩვენი იყო, მაგრამ ქართველები ბურთს იმდენად ველარ აკონტროლებდნენ, როგორც შესვენებამდე. ეს, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ შესვენებაზე სორელმა შეგირდებს პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება დაავალა, ანუ მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა განსხვავებული ტაქტიკით ითამაშა. აღსანიშნავია, რომ ესპანელებთან მატჩში გრეგუარ იაშვილმა საკუთარ ანგარიშზე პირველი ლელო მიითვალა. მან თანაგუნდელთა მიერ მეორე ტაიმის დასაწყისში წამოწყებული შეტევა დააგვირგვინა. მატჩის ბოლოს კი ახალბედა ირაკლი გუნდიშვილმაც გამოიჩინა თავი. სხვათა შორის, კლოდ სორელმა ის და მერაბ კვირიკაშვილი მატჩის შემდეგ ძალიან შეაქო.

ესპანელებს რომ მოუგებდნენ, ძნელი მისახვედრი არ იყო, მთავარია, მომავალში რა იქნება. ჩვენს მორაგბეებს გადამწყვეტი ბრძოლები წინა აქვთ. ორი კვირის შემდეგ ქართველებს რუსეთში მოუწევთ თამაში, კიდევ ორი კვირის შემდეგ კი რუმინელებს უმასპინძლებენ. პრესკონფერენციაზე, განვლილი მატჩის გარდა, ამ თემასაც შეეხო საუბარი.

**კლოდ სორელი** (*საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი*): "ამინდმა დღევანდელ მატჩს თავისი დაღი დაასვა. ორივე გუნდი ცდილობდა, კარგი თამაში ეჩვენებინა, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენს თამაშში პროგრესი შეიმჩნევა და ეს მახარებს. წინ ურთულესი ბრძოლები გველის და ყველა მათგანიდან გამარჯვებული უნდა გამოვიდეთ. რუსეთის მატჩისთვის გუნდი თბილისში მოემზადება. 3 მარტს შევიკრიბებით, კრასნოდარში კი მატჩის წინა დღეს გავემგზავრებით".

**პატრიკ ფორი** *(საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):* "დიახ, ჩვენს თამაშში აშკარა პროგრესია. ეს ძალიან კარგია, ესე იგი, გუნდს პოტენციალი აქვს. ახლა მთავარია, ეს პოტენციალი გამოვიყენოთ. ასეთ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები დიდი წარმატებებისთვის მებრძოლ გუნდად ჩამოყალიბდება".

**პიერ პერესი** *(ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):* "მინდა, გამარჯვება მივულოცო ქართველებს. წაგების მიუხედავად, გარკვეულ ეპიზოდებში ჩემმა ბიჭებმა ჩინებული თამაში აჩვენეს. საერთო ჯამში მათი თამაშით უკმაყოფილო არა ვარ. ესპანეთის ნაკრები ახალგაზრდა, გამოუცდელი გუნდია. ჩვენ თითოეულ მატჩში ვიძენთ გამოცდილებას, რაც მომავალში უთუოდ გამოგვადგება. სწორედ გამოუცდელობით ვუშვებთ უამრავ შეცდომას, რომლითაც ჩვენსავე თავს ვუქმნით საფრთხეს".

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ რამდენიმე მორაგბეს გავესაუბრეთ.

**გოდერძი შველიძე:**

**- პირველ ტაიმში მეტოქეს მოსვენებას არ აძლევდით. მეორე მონაკვეთში კი ნაკლებად გადადიოდით მეტოქის ნახევარზე. რამ გამოიწვია თქვენი, ასე ვთქვათ, შედარებითი მოდუნება - პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, მოგვარებულმა საქმემ თუ...**

- ბუნებრივია, კარგია, როდესაც უპირატესობას პირველივე ტაიმში მიიღებ, მაგრამ ის, რომ მეორეში ნაკლებად ვუტევდით მეტოქეს, ეს მწვრთნელმა დაგვავალა. კლოდ სორელმა მეორე ტაიმში დაცვითი ტაქტიკით გვათამაშა. ფეხით თამაშსაც მეტი ყურადღება დავუთმეთ.

წინასწარ რამის თქმა მიჭირს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს კრასნოდარში განსხვავებული ტაქტიკით ვეთამაშებით.

**პალიკო ჯიმშელაძე:** "შედეგით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება თამაშს, ამინდმა, გარკვეულწილად, გააძნელა თამაში. ყველაფრის მიუხედავად, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არა მაქვს. სამწუხაროა, რომ პირველ მატჩში დავმარცხდით, თუმცა, ტურნირის მოგების შანსი კვლავაც გვაქვს და მის გამოყენებას შევეცდებით. წინა მატჩთან შედარებით, გუნდმა გაცილებით უკეთ ითამაშა. დარწმუნებული ვარ, დარჩენილ მატჩებში კიდევ უფრო მოვუმატებთ და მთავარ ბრძოლებში გავიმარჯვებთ".

**ბესიკ ხამაშურიძე:** "სამწუხაროა, რომ თამაში ვერ შევძელი. შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინ გველის. ვფიქრობ, რუსეთის ნაკრებთან თამაშამდე ხელს მოვირჩენ და თანაგუნდელებს შევუერთდები. ყველაფერი რუსეთთან და რუმინეთთან გამოჩნდება".


მატჩის შემდეგ...


ტრიბუნებზე.

ფეხბურთი

## გლენ ჰოდლი: „რობი კინი მალე ითამაშებს„

მიხეილ აბაიშვილი

"ტოტენჰემის" თავდამსხმელი, რობი კინი ისევ ტრავმირებულია. იგი პრემიერლიგის მატჩში, "სანდერლენდის" წინააღმდეგ თამაშისას დაშავდა. კინის მიმართ ქართული საფეხბურთო სამყაროს ინტერესი გასაგებია – ის ირლანდიის ნაკრების თავდასხმის ხაზის ძირითადი ფიგურაა. ამ გუნდთან კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის უახლოესი შესარჩევი მატჩი ელის. ამ თამაშამდე ხუთი კვირაა დარჩენილი და, შესაძლოა, მასში უფროსი, მანჩესტერიუნაიტედელი როი კინის მსგავსად, რომელმაც სანაკრებო კარიერა დაასრულა, ვერც უმცროსმა კინმა მიიღოს მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში, პირველადი დიაგნოზის შემდეგ, ექიმების დასკვნით, რობი კინს ოპერაცია სჭირდებოდა. თუ ოპერაციას გაუკეთებენ, მას ექვსი კვირით იძულებითი დასვენება და, შესაბამისად, საქართველოს ეროვნული გუნდის წინააღმდეგ თამაშის გამოტოვება მოუწევს.

თუმცა, ასე არ ფიქრობს "ტოტენჰემის" მეპატრონე, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გლენ ჰოდლი. "კინს ოპერაცია არ სჭირდება. ვარაუდი, რომ იგი თვენახევრით ჩამოსცილდება ფეხბურთს, ცოტათი გადაჭარბებულია", - განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში ჰოდლმა. თუმცა, ჰოდლი უფრო ფსიქოლოგიურ ავტოტრენინგს ეწევა და მისი სიტყვები გულშემატკივართა დასამშვიდებლად არის გამიზნული, რადგან, უკვე ცნობილია, რომ მომავალი ტურის მატჩში, რომელსაც "ტოტენჰემი" 24 თებერვალს გამართავს "მანჩესტერ სიტისთან", რობი კინი არ ითამაშებს. კინის მონაწილეობა არც მომავალ შაბათს, "ვესტ ჰემ იუნაიტედის" წინააღმდეგ მატჩში იგეგმება.

ძნელი სათქმელია, მართლა დასჭირდება თუ არა რობი კინს ქირურგიული ჩარევა, მაგრამ, ფაქტია: თუ იგი ირლანდიის ნაკრებს საქართველოს ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მატჩში გამოაკლდება, ქართველ მცველებს ერთი დიდი თავსატეხი მოაკლდებათ.

### ოპოზიციონერი ანჩელოტი

ვინ იფიქრებდა, რომ "მილანის" ბუნჩულა ხელმძღვანელი, კარლო ანჩელოტი, ასეთი თავდაჯერებული და ამპარტავანი კაცი იქნებოდა! როცა მთელი საფეხბურთო ევროპა "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავების, დევიდ ბექჰემისა და ალექს ფერგიუსონის კონფლიქტზე ლაპარაკობს და "სპაის ბოისთვის" ახალ კლუბს ეძებს, "პაპა კარლო" აცხადებს, რომ მის კლუბს ბექჰემი არ სჭირდება!

"მან იუს" ხელმძღვანელობა კი ირწმუნება, ფერგიუსონს შეგნებულად არ უსვრია ბექჰემისთვის ფეხსაცმელი და არც "ბექსი" დაშავებულა მძიმედ, მაგრამ ამ ოფიციალური ვერსიის უკვე აღარავის სჯერა, მით უმტეს, რომ თავად ბექჰემმა მუქრასავით განაცხადა, თუ "ფერგი" ბოდიშს არ მომიხდის, გუნდიდან წავალო. ბექჰემის შეძენის მსურველთა შორის, პირველ ყოვლისა, "რეალს" და "მილანს" ასახელებდნენ, მაგრამ ანჩელოტიმ ისე მედიდურად თქვა, ბექჰემი რად გვინდაო, თითქოს, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავზე კი არა, ვინმე უმნიშვნელო ფეხბურთელზე ყოფილიყოს ლაპარაკი. "ჩემი "მილანი" უკვე იდეალურადაა აწყობილი და ბექჰემისთვის ადგილის გამოძებნა ძნელი იქნება", - აცხადებს ანჩელოტი.

თუ ბერლუსკონიმ და გალიანიმ ბექჰემის ყიდვა საჭიროდ ჩათვალეს, ანჩელოტის, ალბათ, მაინც მოუწევს, სათამაშო სქემა თავიდან ააგოს, რომ "სპაის ბოის" შესაფერისი ადგილი მიუჩინოს. შეგახსენებთ, რომ ანჩელოტის უყვარს ოპოზიციაში ყოფნა. დიდი ხნის წინ ის ასევე წინააღმდეგი იყო, "პარმაში" რობერტო ბაჯო აეყვანათ და მაშინ მის აზრს ანგარიში გაუწიეს. ვნახოთ, ახლა რა მოხდება...

### იერემისი "ბაიერნს" ვერ ელევა

შეუპოვარი ხასიათით გამორჩეული იენს იერემისი, შესაძლოა, სხვა გუნდში არც კი იყოს ესოდენ მნიშვნელოვანი ფიგურა, "ბაიერნში" კი მას ძალიან აფასებენ და მუდამ ძირითად შემადგენლობაში ათამაშებენ. ახლახან მიუნხენურმა კლუბმა იერემისს კიდევ სამი წლით გაუგრძელა კონტრაქტი.

იერემისი "ბაიერნში" 1998 წელს გადავიდა და მას შემდეგ ბუნდესლიგაში 111 მატჩი ჩაატარა. ბავარიაში ის 2003 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილმა კლუბის მენეჯერმა, ული ჰიონესმა, გუნდიდან მისი გაშვება არ ისურვა.

ახალი კონტრაქტის თანახმად, იერემისი კლუბში 2006 წლის ივლისამდე დარჩება. ჯერჯერობით დეტალები ცნობილი არ არის, თუმცა, ვარაუდობენ, რომ იერემისს ხელფასს შეუმცირებენ. ბოლო დროს ევროპაში მოდაში აღარ არის ფეხბურთელებისთვის მილიონების გადახდა. რა გაეწყობა, ფინანსური კრიზისი ყველაფერზე ძლიერია...

### რა ეშველება "ინტერს"?

ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში კატალონიურ "ბარსელონასთან" წაგებით მილანის "ინტერმა" ძალიან გაირთულა ჯგუფიდან გასვლის საქმე, რადგან შემდეგ მატჩებში კუპერის გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოუწევს თამაში.

მილანელთათვის უდიდესი დანაკლისი იქნება ურუგვაელი ალვარო რეკობას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია (ის ბარსელონაში ჩადენილი უსაქციელობისთვის დასაჯეს ასე სასტიკად). საქმე ის არის, რომ "ინტერის" მარცხით გაღიზიანებულმა რეკობამ წაქცეულ კარლეს პუიოლს სახეში ფეხი ჩაარტყა. ამ უხეშობისთვის რეკობამ ჯერ წითელი ბარათი მიიღო, შემდეგ კი სადისციპლინო კომისიამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

რეკობას გარდა, "ინტერს" ტრავმირებული ერნან კრესპოც დააკლდება. ჩემპიონთა ლიგაში გუნდს ვერ დაეხმარება "ლაციოდან" ახლად გადასული გაბრიელ ბატისტუტა. კრესპოს ნაცვლად, კუპერს სიერალეონელი მოჰამედ კალონის დაყენება მოუწევს.

### დაუმი კომფორტს ითხოვს

ზამთრის არდადეგების შემდეგ, დღეს უნდა განახლებულიყო ავსტრიის მაქსბუნდესლიგა, მაგრამ უამინდობის გამო ზოგიერთი მატჩი ვერ ჩატარდება. სტადიონის მოუწყობლობა გახდა "პაშინგ"-"რიდის" მატჩის გადადების მიზეზი. ეს გუნდები 12 მარტს შეხვდებიან ერთმანეთს.

ჩემპიონატის ლიდერი, ვენის "აუსტრია", "კერტენს" ხვდება კარინთიაში, სადაც სულაც არ არის იდეალური პირობები ზამთარში სათამაშოდ. "აუსტრიას" გერმანელი თავკაცი, ქრისტოფ დაუმი, უკმაყოფილოა ავსტრიული სტადიონებით და მოითხოვს, დააყენონ მინდვრის გათბობის სისტემა, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა (გათბობის მილების ჩასალაგებლად, მოედნის ქვეშ, მთელი ბალახის საფარი უნდა აყარონ). ამის მიუხედავად, "აუსტრიას" ბოსმა, ფრანკ შტრონახერმა, დაუმს გული არ დასწყვიტა და დაჰპირდა, მომავალ სეზონში ყველაფერი რიგზე იქნებაო. ჯერჯერობით ბალახის გათბობის სისტემა მხოლოდ გრაცში, ლინცში და ინსბრუკშია, მაგრამ როგორც ავსტრიის ფეხბურთის ფედერაცია ირწმუნება, მალე ასეთი კომფორტი ყველა მნიშვნელოვან სტადიონზე იქნება.

### ალექს ფერგიუსონი: "ჩემი მემკვიდრე ერიქსონი იქნება"

სეზონის დასაწყისში, როცა "მან იუს" თავკაცმა, ალექს ფერგიუსონმა, გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, - მინდა, ჩემს ოჯახთან უფრო მეტი დრო გავატაროო, - ცოლ-შვილის მოყვარულ შოტლანდიელ სერს მთელი კლუბი ლამის დაჩოქილი ევედრებოდა, ნუ მიგვატოვებო. მაშინ "ფერგიმ" შეისმინა "წითელი ეშმაკების" მუდარა და "მანჩესტერთან" სამწლიანი კონტრაქტი დადო. ახლა კი, ბექჰემთან ჩხუბის შემდეგ, ფერგიუსონმა ისევ დაიწყო ფიქრი კლუბიდან წასვლაზე.

ფერგიუსონის აზრით, მისი შემცვლელი გახდება შვედი სვენ გორან ერიქსონი, რომელიც ინგლისის ნაკრებს წვრთნის. მუნდიალზე წარუმატებლობისა და ავსტრალიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წაგების შემდეგ ერიქსონის ინგლისური ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. ბევრი ფიქრობს, რომ შვედს დიდხანს არ დატოვებენ ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე. როგორც ჩანს, ამ აზრს ფერგიუსონიც იზიარებს, ამიტომაც ასახელებს ერიქსონს თავის მემკვიდრედ.



# ინტერნაციონალური ბრიტ-პოპი

## მელოდიური და ენერგიული ღამე "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ვერა ნეფარიძე

დღეს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" უპრეცედენტო საღამო ელით ბრიტ-პოპის მოყვარულებს. თბილისში პირველად დაუკრავს ნაწილობრივ თბილისური, ბრიტ-პოპის მონსტრებად ცნობილი "ბლასტი"; ჯგუფი, რომელიც "ნირვანასთან" ერთად მონაწილეობდა ამერიკულ ტურნეებში, მეგობრობს Muse-თან და თბილისში რობერტ პლანტის ჩამოყვანას აპირებს.


"ბლასტი" ჩვენთან


კონცერტი ლონდონში, სახურავზე

ამ ჯგუფის სახელი ჩვენთვის უცხო არ ყოფილა. "ბლასტს" ხშირად მოიხსენიებენ "ემბრიონისა" და Soft Eject-ის მუსიკოსები. სწორედ მათგან ვიცოდით, რომ ინტერნაციონალური "ბლასტის" (ჯგუფის წევრები არიან ქართველი, პოლონელი და ბულგარელი მუსიკოსები) ლიდერს ნოშრევან თავხელიძეს (რომელსაც ყველგან უფრო Nash-ის მეტსახელით იცნობენ) გარკვეული წვლილი მიუძღოდა ორი თბილისური ჯგუფის ინგლისელ პროდიუსერთან დაკავშირებაში. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი ვაკუუმი ჯერაც ვერ ამოვავსე – ჩემთვის ჯერაც უცნობია მათი ჩანაწერები. "ბლასტის" მუსიკას რუსეთის ოფიციალური ტელე-რადიო ეთერში ერთადერთი მოტივით არ ატრიალებენ – ისინი ბრიტ-პოპს მშობლიურ ენაზე, ინგლისურად ასრულებენ.

"ბლასტის" პირველი კონცერტი მოსკოვში რვა წლის წინათ გაიმართა. ჯგუფი ერთ-ერთი პირველი იყო რუსეთიდან, რომელმაც საკუთარი შემოქმედების გატანა საზღვრებს გარეთ, კერძოდ კი დიდ ბრიტანეთში შეძლო. მართალია, მოსკოვში ჭორაობდნენ, რომ ამაში "ბლასტს" ილია ლაგუტენკო (Мумий Тролль-ის ლიდერი) დაეხმარა, მაგრამ ეს ყველაფერი რეალურად პირიქით იყო. თუმცა, ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას "ბლასტის" წევრები არ ანიჭებენ, მითუმეტეს – ჩვენ. ჯგუფის შვიდი წლის წინათ ლონდონში გამგზავრების შედეგია დღეს "ბლასტის" პოპულარობა დიდ ბრიტანეთში, გაფორმებული კონტრაქტი ფირმა "გუსტ რექორდსთან" და აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული სტატუსი მოსკოვში. მართალია, რუსეთში ოფიციალურ რადიო და ტელეეთერში არ ატრიალებენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჯგუფს იყოს საკმაოდ პოპულარული და ავტორიტეტული.

"ბლასტს" დღემდე გამოცემული აქვს სამი სინგლი და ერთი ალბომი Pigs Can Fly (რატომღაც ჯგუფის ვებ-გვერდზე ალბომის გამოსვლის თარიღად მითითებულია 1999 წელი, მაშინ როდესაც იგივე დისკი თბილისში ბიძინა მაყაშვილს 1998 წელს ჰქონდა). საგაზაფხულოდ მუსიკოსები რიგით მეორე სტუდიური ალბომის გამოსაცემად ემზადებიან (მათი ჩანაწერები ძირითადად მოსკოვსა და ბრიტანეთში ვრცელდება). "ბლასტი" საკმაოდ ბევრს გასტროლიორობს. წელიწადში სამ-ოთხ ტურნეს მაინც გეგმავენ ძირითადად, ინგლისში. თუმცა, 2000 წელს ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო სამხრეთ აფრიკის ფესტივალზე, სადაც საკმაოდ ტიტულოვანი როკ-შემსრულებლები გამოდიან ხოლმე. შარშან მანჩესტერში გამართულ ფესტივალზე In The City "ბლასტი" თბილისურ Soft Eject-თან გამოვიდა და სწორედ ამ გამოსვლის შემდეგ დაებადა თბილისური კონცერტის იდეა.

გუშინ მოსკოვური ჯგუფი სრული შემადგენლობით "24 საათის" რედაქციას ესტუმრა. იმის მიუხედავად, რომ მუსიკოსებთან შეხვედრამდე ნაკლები წარმოდგენა მქონდა "ბლასტის" მოღვაწეობის შესახებ, მაინც ეჭვით ველოდი ჯგუფის სტუმრობას. მითუმეტეს, რომ მუსიკოსებს მორიგ ინტერვიუზე მოუსვლელობის გასამართლებლად უამინდობა (მობეზრებული თოვლი) მშვენიერი მიზეზი ექნებოდათ. მაგრამ, საბედნიეროდ ჩემი მოლოდინი უსაფუძვლო აღმოჩნდა, რასაც რედაქციაში მთელი ჯგუფისა და მათი მეგობრების (ჯგუფის ის მეგობრები, რომლებიც "ბლასტს" დღევანდელი კონცერტის ორგანიზებაში ეხმარებიან) გამოჩენისას მივხვდი. მათთან არცთუ ხანმოკლე საუბრისას მუსიკოსების მონდომების მიზეზი გავარკვიე – "ბლასტის" სურვილია, მისი კავშირები თბილისთან დღევანდელი ერთდღიანი კონცერტით არ შემოიფარგლოს.

თბილისთან სამომავლო გეგმებისთვის "ბლასტს" გარკვეული საფუძველი აქვს: მეგობრობს რამდენიმე ადგილობრივ მუსიკალურ ჯგუფთან, რომლებიც "ბლასტის" წევრების აზრით, მსოფლიო დონის მუსიკას ქმნიან; და რაც მთავარია, სურვილი აქვთ, მრავალფეროვნება შეიტანონ თბილისში დამკვიდრებულ მუსიკალურ ცხოვრებაში. თბილისში სტუმრობას "ბლასტი" სამომავლო გეგმების საფუძვლის ჩასაყრელადაც გამოიყენებს. მთავარი ბარიერი, როგორც ყოველთვის, ფინანსური მხარდამჭერების მოძებნაა. და თუკი, მას იოლად გადალახავენ მუსიკოსები, მაშინ სავარაუდოდ მაისში თბილისში ორდღიან ფესტივალს უნდა ველოდოთ, სადაც "ბლასტის" წევრები ისეთი სახელოვანი მუსიკოსების ჩამოყვანას გეგმავს, როგორიცაა რობერტ პლანტი, Texas ან რიჩარდ ეშკროფტი (Verve-ს ყოფილი ლიდერი).

მსგავსი ბრიტ-პოპის მინი-ფესტივალი წინა ზაფხულს "ბლასტის" წევრებმა მოსკოვშიც გამართეს. ფესტივალზე მიიწვიეს ინგლისში საკმაოდ პოპულარული და ძლიერი კოლექტივი, რომელსაც ჩვენთან შესაძლოა, არც იცნობდნენ. მსგავს სიურპრიზს მუსიკოსები თბილისელ მელომანებსაც ჰპირდებიან. თუმცა, ჩვენთან ნაკლებად პოპულარულ შემსრულებლებთან ერთად, ისინი სახელოვანი მუსიკოსების ჩამოყვანასაც გეგმავენ. ეს ყველაფერი "ბლასტის" უახლოესი გეგმებია, რასაც, გარკვეულწილად, დღევანდელი კონცერტი განსაზღვრავს. დღევანდელი საღამო "აჭარა მიუზიკ ჰოლში" კი ბრიტ-პოპის მოყვარულებმა არ უნდა გამაზონ. მითუმეტეს, რომ მასზე დასწრება ნამდვილად არ იქნება ძვირადღირებული სიამოვნება – ბილეთის ფასი 10 ლარია. "ბლასტთან" ერთად "მიუზიკ ჰოლში" თბილისელი უხუცესები, ჯგუფი "ბლიცი" გამოვა; ღამის დისკოთეკას კი ბულგარელი დი-ჯეი Litlle უზრუნველყოფს. "ბლასტის" ვიზიტი თბილისში, ასეთი არაკომერციული არ იქნებოდა "უპსარინ უპსასა" და "ალმა პლიუსის" მხარდაჭერის გარეშე.

# ახალი კვლევები გენიალური ლეონარდოს შესახებ

ახალი უნივერსალური პროექტის მიხედვით, ლეონარდო და ვინჩის ყველა ფერწერულ ნამუშევარს მეცნიერული ანალიზი ჩაუტარდება. პროექტის ინიციატორია მაიკროსოფტის დამფუძნებელი, ბილ გეითსი. ბილ გეითსმა, რომელიც ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერობითაცაა ცნობილი, 1995 წელს 30,8 მილიონ დოლარად ლეონარდოს Codex Leicester შეიძინა. ეს არის 72-გვერდიანი, ტყავის ყდიანი ხელნაწერი, რომელშიც შესულია ლეონარდოს ნაშრომები ჰიდრავლიკაზე, წყლის მოძრაობაზე, გეოლოგიასა და ასტრონომიაზე.

უნივერსალური პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნების ისტორიკოსი, მარტინ კემპი. მისი განხორციელება დაიწყება მაისში ლონდონში, წმინდა მარტინის ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯში. ავტორებს იმედი აქვთ, რომ დააინტერესებენ ევროპის საბჭოსაც, რომელიც სოლიდურ თანხებს გაიღებს ამ პროექტისთვის.

ლეონარდოს ფერწერული მემკვიდრეობის დიდი ნაწილის გამოკვლევა თანამედროვე ტექნიკის საშუალებით არასდროს ჩატარებულა. ტექნიკური აღჭურვილობების ჩარევით "მონა ლიზაც" კი არასდროს გამოკვლეულა," - ამბობს პროფესორი მარტინ კემპი. სამეცნიერო კვლევის დასრულების შემდეგ, 2006 წელს იგეგმება მთელი რიგი თემატური გამოფენების მოწყობა მთელს ევროპაში.

მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები ლეონარდოს ფერწერული ნამუშევრების ზუსტ რაოდენობაზე ჯერაც ვერ შეთანხმებულან - პროფესორი მარტინ კემპი 22 ნამუშევარს ასახელებს, მეტროპოლიტენ მუზეუმში მიმდინარე გამოფენის კურატორი, კარმენ მამბახი კი ლეონარდოს ფუნჯს მხოლოდ 15 ნამუშევარს მიაკუთვნებს. ეჭვობენ, რომ, შესაძლოა, ლეონარდოს ქმნილებები იყოს ისეთი ცნობილი სურათებიც, როგორებიცაა - მადონა მღვიმეში" (ნაციონალური გალერეა) და "მადონა ლიტა" (ერმიტაჟი).

უნივერსალური პროექტი, ნამუშევრების ატრიბუტირების გარდა, მათი შესრულების ტექნიკის შესწავლასაც ითვალისწინებს. ულტაიისფერი სხივების საშუალებით ნამუშევართა ქვედა ფენები გამოჩნდება. ცნობილი სურათის, "მადონა მღვიმეში", ორი ვერსიაა შემორჩენილი; ერთი მათგანი ლუვრში, მეორე კი ლონდონის ნაციონალურ გალერეაში ინახება. იმედია, ხსენებული გამოკვლევებით გაირკვევა, თუ რომელი მათგანია ორიგანალი.

გამოკვლევა ჩაუტარდება ლეონარდოს სურათებზე ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილ თითის ანაბეჭდებსაც. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დიდი მხატვრის მიერვე გამოგონებული გენიალური სფუმატოს ტექნიკით ხატვისას ის თითებით მუშაობდა.

ფლორენციის ხელოვნების ლაბორატორია ითხოვს, რომ ლეონარდოს მემკვიდრეობის ექსპერტიზის ჩასატარებლად ნამუშევრები იქ ჩაიტანონ. პროფესორი მარტინ კემპი კი ამბობს, რომ, ქმნილებების ზედმეტი ტრანსპორტირებისგან დაცვის მიზნით, უმჯობესია თითოეულ მუზეუმში საგანგებოდ აღჭურვილი სპეციალისტების ადგილზე ჩაყვანა.

პროფესორი კემპი იმედოვნებს, რომ მეცნიერული გამოკვლევები 2006 წლისთვის დასრულდება და მათი შედეგები მაშინვე გამოქვეყნდება.

რაც შეეხება გამოფენებს: "ვიქტორია & ალბერტ" მუზეუმი გეგმავს გამოფენას "ლეონარდო: წარმოსახვა, ექსპერიმენტი და დიზაინი", სადაც წარმოდგენილი იქნება ლეონარდოს ნახატები, ჩანაწერები და და ვინჩის საინჟინრო ნახაზების მიხედვით კონსტრუირებული თანამედროვე მოდელები. გამოფენები გაიმართება ბრიტანეთის სხვა ქალაქებშიც. მაგდალინას სახელობის კოლეჯის კაპელაში "საიდუმლო სერობის" ყველაზე ადრეული ასლი გამოიფინება. მეცნიერების ისტორიის მუზეუმი კი რენესანსის პერიოდის სხვადასხვა სახის ხელსაწყოებს წარმოადგენს.

ორი დიდი გამოფენა გაიმართება იმ ქალაქებში, სადაც ლეონარდო ცხოვრობდა. მილანში, სანტა მარია დელ გრაცეს ეკლესიაში აპირებენ "საიდუმლო სერობის" გაწმენდას.

ლეონარდოს მეცნიერული ცოდნისა და ნიჭის მხატვრულ ტალანტთან თანხვდენას ასახავს ფლორენციის მეცნიერების მუზეუმში დაგეგმილი გამოფენა.

პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ მთელი ეს გამოკვლევები რენესანსის უდიდესი ხელოვანის გარშემო არსებულ მრავალ საიდუმლოს მოჰფენს ნათელს.

## კალენდარი

### 23 თებერვალი



კაზიმირ მალევიჩი დაიბადა 1878 წელს, კიევში, მეწარმის ოჯახში. ხატვა 11 წლისამ დაიწყო. ხუთწლიანი აგრონომიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან სამხატვრო სკოლაში დაიწყო სწავლა.

ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების შესწავლა მალევიჩმა 1904 წელს, მოსკოვში, სტროგანოვის სასწავლებელში განაგრძო. ერთი წლის შემდეგ ის უკვე დამოუკიდებელი ფერმწერი გახდა და 1907 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა მოსკოვის მხატვართა ამხანაგობის გამოფენაში – მალევიჩის გარდა, გამოფენაში კანდინსკიც მონაწილეობდა.

მალევიჩი ბევრს მუშაობდა ახალი ფერწერული სისტემის ტილოებზე, რომელსაც ის "სუპერმატიზმს" უწოდებდა ("შავი კვადრატი", 1913) და რომლის პრინციპებიც ჩამოყალიბებული იყო მანიფესტში "კუბიზმიდან სუპერმატიზმამდე. ახალი ფერწერული რეალიზმი".

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მალევიჩი მოსკოვის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს სამხატვრო სექციის თავმჯდომარედ იყო არჩეული. ის ხელოვნების სახალხო აკადემიის შექმნის პროექტზე მუშაობდა, ისტორიული ძეგლების დაცვის კომისარი და კრემლის მხატვრული ფასეულობების დაცვის კომისიის წევრი იყო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კაზიმირ მალევიჩმა ვლადიმირ მაიაკოვსკის "მისტერია-ბუფის" დადგმისთვის დეკორაციები და კოსტუმები შექმნა და დაწერა თეორიული ნაშრომი "ხელოვნებაში ახალი სისტემების შესახებ". შაგალთან ერთად ის ვიტებსკში სახალხო მხატვრულ სკოლაში სახელოსნოს ხელმძღვანელობდა და გამოფენებშიც იღებდა მონაწილეობას. 1922 წელს მან დაასრულა მუშაობა წიგნზე "სუპერმატიზმი. სამყარო როგორც უნივთობა ანუ მარადიული სიმშვიდე" (წიგნი 1962 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა). ამავე წლიდან მალევიჩი პეტროგრადის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში ხატვას ასწავლიდა, 1923-ში კი თანამედროვე ხელოვნების კულტურის კვლევის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა.

1926 წელს, გაზეთ "ლენინგრადსკაია პრავდაში" უზარმაზარი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ინსტიტუტი დახურეს და მალევიჩი სამსახურიდან დაითხოვეს. 1930 წელს ის დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს, და ამის შემდეგ მან კვლავ განაგრძო თავისი საქმიანობა, სანამ 1935 წელს მძიმე ავადმყოფობის შედეგად არ გარდაიცვალა.

კაზიმირ მალევიჩის სიცოცხლის განმავლობაში მისი ნახატები არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ გერმანიასა და ავსტრიაშიც იყო გამოფენილი. ამჟამად ისინი მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებს, გალერეებსა და კერძო კოლექციებს ამშვენებს.

მხატვარი-ავანგარდისტი **კაზიმირ მალევიჩი** დაიბადა 1878 წლის 23 თებერვალს.

## კითხვარი

# ჩვენმა კულტურამ 1000 წლით უკან დაიხია

დათო დოიაშვილი
რეჟისორი

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**



1. კულტურის აქტივობას მხოლოდ და მხოლოდ ჯანსაღი ეკონომიკური მდგომარეობა იწვევს, სხვა არაფერი. ისტორიულადაც რომ გადავხედოთ, კულტურა მაშინ ადის ზენიტში, როცა სახელმწიფო ეკონომიკურად გამართულია. ამის ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს. არ დავიწყებ მე-12 საუკუნის საქართველოზე ლაპარკს, უახლოეს წარსულზე ვილაპარაკოთ, გავიხსენოთ კომუნიზმის რაღაც გაუგებარი ხანა, როდესაც საქართველოში ასე, თუ ისე არსებობდა მატერიალური დოვლათი. ყოველ შემთხვევაში ხალხი ამ მდგომარეობაში ნამდვილად არ იყო. შესაბამისად თეატრსა თუ კინოში, იქმნებოდა ისეთი რამ, რაც დღესაც ფასეულია. თეატრიც, კინოც, კულტურის ყველა დარგი ფუფუნების საგანია, გაჭირვებაში კი ფუფუნება არავის არ სჭირდება და ამაზე არასდროს არავინ არ ზრუნავს. ფუფუნებაზე ზრუნვას იწყებენ მაშინ, როდესაც გარკვეული მინიმალური პრობლემები მაინც მოგვარებულია. როდესაც საქართველოში მდგომარეობის გაუმჯობესება დაიწყება, შეიძლება ნელ-ნელა რაღაცეებს მიექცეს სათანადო ყურადღება და გამოჩნდნენ ის ადამიანები, რომლებიც ახლა ნამდვილად არ ჩანან. მართალია, როდესაც ქვემეხები ქუხან, მუზები დუმან, მაგრამ არსებობენ ისეთი ბედნიერი გამონაკლისები, რომლებიც ამ პერიოდში იქმნებოდნენ. ჩემის აზრით, ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ თუ სახელმწიფოს აქვს გარანტირებული ეკონომიკური წინსვლა, ეს, თავისთავად, მის კულტურულ წინსვლას განაპირობებს.

**2**. მე ვფიქრობ, რომ არაფერი არ შეცვლილა, სამწუხაროდ, არამც თუ შეიცვალა, არამედ, ჩემის აზრით, გაცილებით უფრო ჩამორჩა მსოფლიო პროცესებს, ვიდრე იყო. ვიმეორებ, სამწუხაროდ ამისთვის არავის სცალია. მხოლოდ ფანატიზმზე კი კულტურა ვერ აშენდება და მითუმეტეს, ვერ განვითარდება. აქედან გამომდინარე მე არ მგონია რომ რაიმე შეიცვალა, პირიქით ასი და ათასი წლით უკან დავიხიეთ. ჩემის აზრით, დღესდღეობით საქართველოში, ისევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც გაურკვეველი მენტალიტეტით ზომავენ ყველაფერს, შეიძლება ვცდები. მაგრამ ტექნო-მუსიკის განსაზღვრა ვალსის რიტმიდან გამომდინარე, ვფიქრობ ცოტა სასაცილოა. ისევე როგორც კოლაჟის განხილვა აღორძინების მხატვრობის "მერკებიდან". ჩვენ ყოველდღე სხვადასხვა სატელევიზო არხებიდან უამრავ პოლიტიკურ ინფორმაციას ვიგებთ, კულტურის სიახლეები კი ძალიან ნაკლებადაა. შესაბამისად რა სტადიაშია ჩვენი კულტურა, რა ხდება და საითკენ ვითარდება ყოველივე, არათუ ყველასთვის, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვისაც კი აბსოლუტურად გაუგებარია. ასე, რომ ჩემი აზრით, ძალიანაც რომ გინდოდეს, თუნდაც ჩემმა მეგობრებმა რომ გააკეთონ საერთაშორისო სტანდარტებით გარკვეული გამოფენა, ან დადგან რაიმე პერფორმანსი, იგი აბსოლუტურად მისაღებია ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში, აქ კი სრული გაუგებრობის ტოლფასი იქნება და მთლიანად მიუღებელი. ეს კი, ისევ და ისევ არავის ბრალი არაა, გარდა იმ სახელმწიფოსი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

რაც შეეხება მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ამ ბოლო პერიოდში ვნახე, ალბათ იყო ჩემი მეგობრის ილუშკას *(სუხიშვილი)* მიერ დადგმული ქორეოგრაფია, მათი კონცერტის მეორე ნაწილი. ვფიქრობ, რომ ამან რაღაცა გარდატეხა, თავისთავად, შეიტანა იგივე ქართული ფოლკლორის აღქმაში, იმაში, თუ რას ნიშნავს ნაციონალური ბალეტი, ამავე დროს მუსიკალურად გაამდიდრა ეს ყველაფერი. შეიცვალა ნახაზი და შეიცვალა დამოკიდებულება. ამის გამო ვთვლი, რომ ეს, ბოლო ხუთი წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, შეიძლება რაღაცა მრჩება არ ვიცი.

**3.** დღეს დავამთავრე რეზო გაბრიაძის ახალი მოთხრობის კითხვა, რაც ძალიან მომეწონა. ვუსმენ ბევრ რამეს, უფრო ალტერნატიულ მუსიკას ვარჩევ. შიგადაშიგ ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. ბოლოს მასხარას გამოფენაზე ვიყავი, რომელიც ძალიან მომეწონა. რაც შეეხება სპექტაკლს, ბოლოს, რომელი ვნეხე ნამდვილად არ მახსოვს. ორი დღის წინ სპეციალურად წავედი ვიდეოთეკაში და გამოვიტანე 70-იანი წლების ფილმი "ლომი ზამთარში", სადაც თამაშობენ კეტრინ ტერნერი, პიტერ ო`ტული, ენტონი ჰოპკინსი, ძალიან კარგი ფილმია.







## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი 1200 კვ.მ. ეზოთი საბურთალოზე. 32 07 42, 8(77) 74 90 89

იყიდება იოსელიანზე (დოლიძის პარალელური) 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა მე-14 სართულზე. ფასი 25 000. 33 76 07, 8(93) 28 73 00

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000.**
**ტელ: 38-32-50**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით-სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

იყიდება 72 კვ.მ. ფართი I სართულზე 156 კვ.მ. განათებული სარდაფით, ვაკეში, სტუდქალაქის უკან. 8(77) 78 58 42

ქირავდება გრიბოედოვზე ბელეტაჟზე ოროთახიანი იზოლირებული, პარკეტიანი, კაფელიანი ბინა საოფისედ. 98 86 01

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, ბირაო

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბელეტაჟზე ლოჯით, ვერანდით, ყველა პირობებით მ. "რუსთაველთან". ფ. 250$. ტელ: 22-55-29

ვიქირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(77) 74 58 70 ელისო, 8(93) 24 19 24 ვახო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

## სწავლება

მოვამზადებ ბერძნულ ენაში, ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ტელ: 36-92-65.

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას: WINDOWS; WORD; EXCEL; INTERNET; E-MAIL; PAGE MAKER; PHOTOSHOP; ACCESS; OUTLOOK. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება 2-ადგილიანი საფლავი დიღმის სასაფლაოზე, კარგ ადგილას. 53 38 81

სატელევიზიოდ აგიმზადებთ

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

**გეპატიჟებათ**
**კაფე-რესტორანი**
**„იმედი"**

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.

**სანდრო ეულის ქ. 1.**

**8(93) 21 76 12**

# TV პროგრამა 23 თებერვალი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 23.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
19.15 ველური ამბები
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.00 კურიერი
21.25 ჩვენი ეზო
21.40 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „მანქანა" 8 77 45-79-25 ჟერარ დეპარდიე, ნატალი ბეი. „ცბიერი ქურდი" 8 77 45-79-26, ალეკ ბოლდუინი, რებეკა დეორნეი. „ჩემი ნაზი მხეცი" 8 77 45-79-27 გალინა ბელიაევა, ოლეგ იანკოვსკი.
23.50 მხ.ფ. „ინგლისელი პაციენტი" მთ. რ-ში: რალფ ფაიანსი, ჟულიეტ ბინოში.
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „ბნელი წარსული"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „დიდი დასვენება"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.15 დოკ. სერიალი „ოდისეა სივრცეში"
15.45 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის „დინამო"-რუსთავის „აზოტი".
17.35 „ექიე ქალი"
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ჩემპიონი"
18.50 ეკოდაიჯესტი
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბობენ"
21.25 „მუსიკალური ოქტაგონი"
22.10 ტელესერიალი „ქალები ზღვისპირეთში"
23.00 „შორეული ახლობელი"
23.40 მხ. ფილმი „რა გაცინებს"
00.10 ტაიმ-აუტი
00.40 მხ. ფილმი „ბედის საჩუქარი"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 განმ. უცხოური მუსათეული
14.00 სმს შოუ
17.00 ფილმი „ციური სასჯელი" მთ. როლ-ში ელენ ბარკინი, ჯიმი სმიტსი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ლუინის დაცვა" მთ. როლ-ში ჯონ ტურტურო, ემილი უოტსონი
01.40 ფილმი ღამურა „ვარსკვლავური დესანტი" მთ. როლ-ში კასპერ ვან დიენი, დენიზ რიჩარდსი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი)
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „არლეტი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „თოვლის ძაღლები"
10.20 მხ.ფ. „თავგადაპარსულები"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „ბრძოლის ველი"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „დენთის კასრი"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი"
15.00 მხ. ფილმი „უჩინარი"
16.50 მხ. ფილმი „ნიღაბი"
18.30 ჯაზ-პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი „კეთილი სახელი"
22.00 მხ. ფილმი „მოჩვენება"
00.10 მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი

### მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი" მე-5 ს.
10.30 მხ. სერიალი „ჯონ როსი"
11.00 გადაცემა „საუბრები სტუდიაში"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
13.00 რუს. მხ. ფილმი „კუზიანი ცხენი"
14.40 ტელეჟურნალი „კონტაქტი"
15.10 მხ. ფილმი „იპოვე და გაანადგურე"
17.00 მხ. ფილმი „გარღვევა"
19.00 გადაცემა „გელისიმო"
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 გადაცემა „ოსტატები"
20.40 დოკ. სერიალი „ფოტოროგოტი" 1-ლი ს.
21.30 მხ. ფილმი „სასიკვდილო ბრძოლა"
23.40 მხ. ფილმი „მორევი".

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.30 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.20 „ყველანი ვართ პატარები"
9.30 სათავგადასავლო ფილმი „შერლოკ გონდი"
10.35 კომედია „პრეზიდენტის მრჩეველი"
12.10 მხატვრული ფილმი „ცისფერი ტორნადო"
13.50 ისტორიული ფილმი „პირველი რაინდი"
16.10 მულტფილმი „მახვილი ქვაში"
17.30 ისტორიული ფილმი „ჟანა დარკი" 2 სერია
19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
19.20 მელოდრამა „დედინაცვალი"
21.20 დოკუმენტური ფილმი
22.30 Новости в воскресенье
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 Новости в воскресенье
01.00 მხატვრული ფილმი „დაქირავებული მკვლელი"
03.30 ფილმი-ფანტასტიკა „არმაგედონი"

### VII არხი

16.50 „ლა-ლა-ლა"
17.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.00 ევროპული ფეხბურთი
19.00 „აჩიკუდა"
19.50 კომპიუტერული თამაშები
20.00 რაგბი - 6 ერი - საფრანგეთი -შოტლანდია
21.50 „კინოკლუბი „ - „ბინგო-ბონგო" იტალია 1985 წელი. კომედია. როლებში: ანდრიანო ჩელენტანო
23.00 კომპიუტერული თამაშები
23.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
23.20 მელოდია
23.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი.
01.20 მობილურები

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Худ.фильм „Кодовое название „Южный гром", 1 с.
09.20 Худ.фильм „Звезда"
11.10 Армейский магазин. Праздничный выпуск
11.35 Худ.фильм „Повелитель луж"
13.20 „Новый день". Ударная сила. „Оружие XXI века"
13.50 „Рядовой Евдокимов и его друзья"
15.10 Комедия „Семь невест ефрейтора Збруева"
16.55 „Новый день". Ударная сила. „Черный призрак"
17.25 Боевик „Черная акула"
19.20 Концерт „Песни победы"
20.55, 22.30 „Кривое зеркало". Евгений Петросян представляет
22.00 Время
23.50 Бокс. Майк Тайсон - Клиффорд Этьен
00.50 Боевик „Проект „А": Ответный удар"
02.40 Худ.фильм „Долгая дуэль"

### РТР

07.05 День защитников Отечества
07.20 Худ.фильм „Одиночное плавание"
08.50 Мультсериал „Джуманджи"
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.30 „Виктория". Фестиваль солдатской песни
12.10 Худ.фильм „В зоне особого внимания"
14.05 Док.сериал „Оружие России". „Воздушная кавалерия"
15.00 Вести
15.20 Комедия „Максим Перепелица"
17.15 Док.фильм „Александр Маринеско. Атака века"
18.10 Комната смеха
19.05 Худ.фильм „Белое солнце пустыни"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Концерт О. Газманова „Господа офицеры-2003"
01.05 Худ.фильм „Спаун"
03.05 Чемпионат мира по лыжному спорту. Мужчины. Гонка преследования.

### НТВ

07.10 Мелодрама „Так бывает в Квинсе"
09.00, 11.00, 12.00, 13.00 ,14.00 Сегодня
09.05 Киноповесть „Два бойца"
10.25 Лотерея „Шар удачи"
10.55 Погода на неделю
11.05 Сериал „Бушующая планета"
12.05 „Растительная жизнь". Д.Харатьян
12.40 Вы будете смеяться!
13.05 Важные люди в программе „Влияние"
14.05 Худ.фильм „Двойной обгон"
15.45 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами"
17.45 „Мужчина моей мечты". Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Ток-шоу „Принцип „Домино". (Продолжение)
19.05 Боевик „Ответный ход"
20.50 Боевик „Решение о ликвидации"
23.25 Худ.фильм „Контакт"
02.05 Журнал Лиги чемпионов
02.45 Ночь

# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ზაქარია ფალიაშვილი "აბესალომ და ეთერი", ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი რევაზ ტაკიძე
დას: 12:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"მარადი ქმარი", რეჟ. თემურ ჩხეიძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პრემიერა, "ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"მუუ", რეჟ. ზურა ქიქოძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ჭერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს", რეჟ. გოგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ"

**შარდენი**
ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
"ტაო-კლარჯეთი", კახა შენგელაიას ნამუშევრების გამოფენა
ვიდეოარტი "არტერია"

**TMS**
ბრიტანეთის საელჩოს ფოტონამუშევრების გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
"პლუტონეში"
დას: 14:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"აბა დამიჭირე"
დას: 16:00; 19:00; 22:00; ფასი 7-9 ლარი

**"რუსთაველი"**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუე ყველა"
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**"ელისო"**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუე ყველა"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ექსტრემელები"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი















# კატა - კაილი მინოუგი



კაილი მინოუგი

34 წლის ავსტრალიელ ვარსკვლავს, კაილი მინოუგს, ენდრიუ ლოიდ ვებერის ცნობილი მიუზიკლის, "კატების" ჰოლივუდურ ვერსიაში შესთავაზეს მონაწილეობა. ფილმისთვის საკმაოდ დიდი ბიუჯეტია გათვალისწინებული, და პროექტის პროდუსერები იმედოვნებენ, რომ მომღერალი 4,5 მილიონ დოლარიან ჰონორარზე დათანხმდება.

"ამჟამად ყოველი კინოსტუდია ოცნებობს მიუზიკლის გადაღებაზე," განაცხადა კინოპროდიუსერმა, რომელმაც, ჯერჯერობით, თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა. ჰოლივუდის მიუზიკლებით გატაცება, ალბათ, "მულენ რუჟისა" და ჩიკაგოს" წარმატებითაა განპირობებული.

"კატების" ავტორებმა ამღერებულ მსახიობს პოპულარული მომღერალი ამჯობინეს. გარდა ამისა, ერთერთი კატის როლის შემსრულებლის არჩევისას კაილის ეროტიული ხიბლიც მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა. ეს თვისება, მოგეხსენებათ, კაილის ძირითადი მახასიათებელია. ასე, მაგალითად, მალაიზიაში, სადაც ეროტიკული, პორნოგრაფიული და ძალადობის სცენების შემცველ ფილმებსა და ვიდეომასალებზე მკაცრი ცენზურაა დაწესებული, ავსტრალიელი პოპ-ვარსკვლავის ჩვენება და მისი ჩანაწერების გავრცელება სასტიკად აკრძალულია.

მინოუგის გარდა, "კატების" კინოვერსიაში მონაწილეობის მისაღებად მადონას, ვიქტორ ბექჰემისა და სხვათა მოწვევაცაა განზრახული – სწორედ ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

თავად კაილი მინოუგს რაც შეეხება, უკანასკნელი ორი წელია, სულ წარმატებები აქვს. გასულ წელს, თებერვალში, ბრიტანეთის მთავარი მუსიკალური ჯილდოს, Brit Pop Awards-ის გადაცემაზე, კაილი წლის საუკეთესო მომღერლად იყო აღიარებული. მუსიკოსები ამ ჯილდოს ლამის ყველაზე პრესტიჟულად მიიჩნევენ და Grammy-ის თუ ადარებენ. ავსტრალიელი მომღერალი მაშინ ერთბაშად ორი ჯილდოს მფლობელი გახდა: საუკეთესო საზღვარგარეთელი შემსრულებლის პრიზი მიიღო და თავისი ალბომისთვის, Fever-ისთვისაც დაჯილდოვდა. მინოუგი ძალიან ბედნიერი იყო, და როცა "გლადიატორმა" რასელ კროუმ პრიზი გადასცა, ატირდა კიდეც.

მართალია, წელს, Brit Pop Awards-ის გადაცემის ცერემონიაზე, მინოუგს არცერთი ჯილდო აღარ მიუღია.

# სიყვარულის ხელოვნება

თითქოს რა უნდა იყოს გრძნობის გამოხატვაზე იოლი: შეიძლება ადამიანს უთხრა, მისწერო, აგრძნობინო... მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არც ასე ყოფილა საქმე, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ ევროპაში მცხოვრებთათვის მაინც. არადა, ლიტერატურას და ხელოვნებას თუ გადავხედავთ, ეს საქმე ევროპელებს არასოდეს გასჭირვებიათ.

მაგრამ, როგორც ჩანს, დრომ მოიტანა, და იტალიაში, სიენის უნივერსიტეტში, სტუდენტებს საგანაგებო სემინარზე იწვევენ, რომლის სახელწოდებაცაა "შეგრძნებებისა და გრძნობების კულტურა და ცნობიერება".

სემინარის ხელმძღვანელი, სოციოლოგი ენრიკო ჩელი, თემის, ერთი შეხედვით, უცნაურ არჩევანს ამგვარად ასაბუთებს: "საქმე ის გახლავთ, რომ თითქოსდა თავისუფალი აზროვნების ფონზე, დღეს პიროვნული განცდების გამოთქმა ბევრად უფრო პრობლემატურია, ვიდრე უწინ იყო." მისი თქმით, ურთიერთობების ფორმების გამარტივება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანებმა თავიანთ გრძნობებთან ურთიერთობის გარკვევა შეძლეს. შესაბამისად, მათ სხვების გაგებაც უჭირთ, და სწორედ ესაა ყოველგვარი კონფლიქტის, ნევროზისა და უბედურების საწყისი.

ამირეიდან კი ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია შვიდი თვის განმავლობაში შეისწავლოს საკუთარი და გარშემომყოფთა გრძნობები. 120 საათი, რომელიც ამ საქმისთვისაა გამოყოფილი, "ევროპული გრძნობის" სოციოკულტურული, რელიგიური და ფილოსოფიური ფესვების შესწავლას დაეთმობა. გარდა ამისა, საგანგებოდ განიხილება სიყვარულის ფსიქოლოგიური და ნევროფიზიოლოგიური ასპექტები.

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კურსის გავლის შემდეგ, სემინარის დასრულებისას სტუდენტები საგანგებო გამოცდასაც ჩააბარებენ და დიპლომირებული "გრძნობათმცოდნენი" იქნებიან.

უნივერსისტეტის მესვეურები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მიზნობრივი ჯგუფის – სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და მედიცინის შემსწავლელთა გარდა, ისინი სემინარში მონაწილეობისათვის ყველას იწვევენ, ვისაც ადამიანთა გრძნობებში გარკვევა სურს.



ოგიუსტ როდენი "გაზაფხული"



გუსტავ კლიმტი "კოცნა"

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24


## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში